


დღისთვის



ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

10 ივნისი 2022წ. №13 (4048) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

Слава Україні! Героям слава!

ჰანო ჩხიკვაძე

ლილაკი

გინდაც იყოს ჩაფხუტი,
 გინდაც პაპის ტიარა,
 ერთ სამარხში თავს უკრავს, თუკი დაიგრიალა.
 სულ ამოდ დარეკენ კურანტები: – „დაიჭი!“
 დნეპრისპირებს გადაძოვს მაინც ბულბას ტაიჭი.
 ილიჩის იმპერიის გადამწვარი ნათურა
 უნდათ, ისევ აანთონ, დაამგვანონ „ნატურას“.
 საღი თვალი საფლავეში უთამაშებს კუტუზოვს –
 „ფლეში“ როგორ ივარგებს ყოვლისშემძლე „უტუზოდ“.
 აირია აღლუმის ანყობილი „ბოლერო“,
 რაც ლიახვისპირელი ბიჭი ველარ „გორელობს“.
 ეს ცა ესიზმრებოდა „ლაითინგს“ და „მესერშიტს“ –
 ერკემალი კრემლიდან გაჭედული მესერში,
 ყოვლისშემძლე ლილაკზე თუ არ დააპაუზებს,
 მონატრებს მსოფლიოს ნავთქურას და მაუზერს!
 კეჭნაობენ აქამდე აღსავალის ბულვარში,
 ბუდიონის უღვაში და
 ტარას ბულბას უღვაში...
 არ დალატობს ევროპა
 ძველ, საძრახის „ხელობას“,
 ჩრდილოელი პითონი
 თითქოს ნიშანს ელოდა...
 ეჰ, ბრიუსელ,
 ბრიუსელ,
 ტყვიას მკერდს თუ მიუშვერ,
 ვინმე „დემოკრატის“
 ქოფაკებს თუ მიუქსევს!
 რა მოხდება, ხელებს თუ გადაიბანს პილატე,
 თუკი თავის ცოდვილ სულს წამოჰკიდებს ლილაკებს!
 გინდაც იყოს ჩაფხუტი,
 გინდაც პაპის ტიარა,
 უფალიც ვერ უწამლებს
 დედამინის იარას –
 დაიმსხვრევა სანუთროს
 უკვდავების ფიალა,
 თუკი დაიგრიალა,
 თუკი დაიგრიალა!



თამაზ ნივნივაძე

უერიგებოსთვის

ძვირფასო თანამემამულენო!
 ეს მერამდენე წელიწადია, ქართულ მიწაზე სიძულვილის ბა-
 ცილამ იხარა!
 ლამისაა, ქვეყანა ძირიანად მოხრას!
 არადა, წესით და კანონით, თუ ჩვენ ქრისტეს მიმდევარი ვართ,
 ერთად თანაარსებობა არ უნდა გავგიჭიროდეს!
 უფალი იესო ჩვენგან მეტსაც მოითხოვს – გიყვარდეს მტერი შენი!
 ცხადია, ჩვენ ცოდვილი ვართ, ერთმანეთს რომ დავშორდით,
 მაგრამ მადლობა ღმერთს, ერთმანეთის მტრებად ქცევა ჯერაც
 რომ ვერ მოვასწარიო!
 არადა, დაუშვათ, ასედაც რომ იყოს, ამქვეყნად მტრების მეტი
 რა შერიგებულანი!
 ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელ ვრს აუცილებლად უნდა
 ასხოვდეს:
 მტრის დამარცხება ყოველთვის შეიძლება, მტრობის მოსპობა
 კი მხოლოდ სიყვარულს შეუძლია!
 აშშ-ის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ბრძანებდა:
 „განა მე არ ვსაბო ჩემს მტრებს, როცა მათ ჩემს მეგობრებად
 გადავაქცევ?“
 ძვირფასო თანამემამულენო!
 გადავაქციეთ ჩვენი მტრები ჩვენს მეგობრებად! – აი, ჩემი ამ
 მცირე მიმართვის მთავარი პათოსი!

2016 წ.

თვისებათა კაცი

80

თამაზ ნივნივაძე 1992 წელს მოვიდა „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად და 2018 წლამდე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა რედაქციას. ოცდაექვსი წელი, მეთხუთმეტი საუკუნეზე მეტი, გაატარა მან ამ საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და პირდაპირ უნდა ითქვას – ეს იყო ბრძოლისა და თავდადების წლები. რომ არა მისი შემართება და მიზანდასახულობა, ჩვენი გაზეთი ალბათ ჩაიკარგებოდა 90-იანი წლების სიდუხჭირეში და შეწყვეტდა არსებობას.
 ერთი იყო მისი ბრძოლა გაზეთის გადასარჩენად და მეორე – მოღვაწეობა კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ასპარეზზე.
 იყო დრო, თამაზ ნივნივაძე ეულად, მარტოდმარტო ებრძოდა ჩვენში სახადივით მოდებულ პოლიტიკურ აბერაციებს, ანტიეროვნულ ტენდენციებსა და გავლენიან, მრისხანე ლიტერატურულ ოპონენტებს.

გამუდმებული, უშეღავათო ბრძოლის პარალელურად, არ ავინყდებოდა მოყვასი, კოლეგა, რედაქციის თანამშრომელი. ყველა ჩვენგანის გვერდით იდგა და, თუ რამ გასაჭირი იქნებოდა, ქვეყანას შეძრავდა და არ მოისვენებდა, სანამ პრობლემას არ მოგვიგვარებდა.
 რამდენადაც მკაცრი და შემართებული იყო კრიტიკულ-პუბლიცისტურ ასპარეზზე, იმდენად ლმობიერი და გულისხმიერი გახლდათ ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში.
 ქველმოქმედება მისი შინაგანი, ღრმად პიროვნული თვისება იყო. აღნიშნული თვისების სიმბოლურ გაგრძელებად მიგვაჩნია თამაზ ნივნივაძის სახელობის პრემიის – „ფრთხილად, წინ მკითხველი“ – დაარსება. კონკურსის პირველივე წელმა დაადასტურა, რომ დროული და აუცილებელი იყო ამ ახალი ლიტერატურული ჯილდოს დაარსება. დავინახეთ მწერალთა დიდი აქტივობა და სურვილი, იყვნენ იქ, სადაც ახსოვთ თამაზ ნივნივაძე, სადაც იციან მისი სიტყვის ყადრი, სადაც აფასებენ ლიტერატურის თავდადებულ მოღვაწეებს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

| | | | | |
|---|--|--|--|--|
| <p>„სახელის სსენავითაც!“</p>  <p>თამაზ ჩხიკვაძის სსოვნას</p> <p>33.5</p> | <p>ზადაზანუა ასვლა</p>  <p>რაულ ჩილაჩავას მემორაბიდან</p> <p>33.6-7</p> | <p>ჩვენი ღებოუტანტი</p>  <p>მაგდა ჩანქალიანი</p> <p>33.8</p> | <p>ინტერვიუ</p>  <p>კატია ვოლტარსი</p> <p>33.10</p> | <p>ხელაპი, ხელაპი...</p>  <p>რაფო კვიციანი</p> <p>33.12</p> |
|---|--|--|--|--|

დაუპიწყარი თაგავ ნივნივაქე

სწორედ ეს განწყობა მეუფლება, თამაზ ნივნივაქეს გარდაცვალების დღე რომ მახსენდება. თამაზს არ უყვარდა როხროხი და უაზრო ლაყბობა: მე არ მაგონდება ერთი შემთხვევა, როცა ის ტელეეკრანიდან თავს აწონებდა ქართველ საზოგადოებას. მაგრამ მისი ავტორიტეტი და პოპულარობა უსაზღვრო იყო. მის წერილებს და გამონათქვამებს ზეპირად იმეორებდა მკითხველი საზოგადოება, რომელიც დღეს უაზრო, შეთითხნილ და მიზანმიმართულად გამრუდებულ ტელეგადაცემებს მისწერებია და ყოველივე სისულელე, იქ რომ ითქმება, მისეული ჰგონია!

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თამაზის სიკვდილს არც მთავრობისა და არც ლიბერალიზმის ჭაობში ჩაფლული ე. წ. საზოგადოების დიდი ნაწილს ღელავს არ მოჰყოლია, რაც მეტყველებს ჩვენი ეროვნული ცნობიერების დაცემაზე.

არადა, ნებისმიერი ქართველისთვის გულდასაწყვეტი იყო იმქვეყნად გადასახლება ამგვარი ადამიანისა. დაუნჯებული მნივნივარი იყო. ვგონებ, ლიტერატურულ სამყაროში გარკვეულ ადამიანს არ გაუკვირდება ის თვალთახედვა, რომ მან ქართულ მწერლობა, უფრო სწორად, კრიტიკა ახალ საფეხურზე აიყვანა და ეს უანრი, რომლის წარმომადგენლები დაუნდობელი კრიტიკით ამხელდნენ მხატვრული ქმნილების ამა თუ იმ ნაკლს, გარდაქმნა და კიცხვის მახვილი სულის და სარკაზმის ნატიფი ნაკადით შეცვალა! თამაზს კარგად ჰქონდა გააზრებული ძველი აღმოსავლური სიბრძნე. სადაც კიცხვა და დასჯა არ სჭირს, იქ სარკასტული სიცილი აღწევს მიზანს. ამიტომ იგი შემოქმედს თუ მწერალს ურჩევდა ამა და ამ სტილით წერას. წერეთ, არამედ მალაღი ნიჭიერებით, იუმორის სხივით ანათებდა ქმნილების ბნელ კუნჭულს და სიცილ-სიცილით ნათელისკენ მიჰყავდა შემოქმედიცა და მკითხველიც. ამგვარი მხილების გზა, რომელიც გონებრივი განსჯით შთააგონებს და იუმორისა და სიცილის ველში გადაჰყავს, ერთობ რთულია, გარჯით ვერ მიიღწევა და ის, ოდენ ღვთისადმი გადმოვლენილი, ღმერთის ბოძებული ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედს ხელეწიფება.

აი, ამ ნიჭით თამაზ ნივნივაქემ შეანძრია ის ძლიერი სისტემა, რომელიც წარმართავდა ნახევარ მსოფლიოს (გავიხსენოთ „ლოზუნგების ქვეყანა“). ამ ნიჭით გამოაღვიძა მან დროებას ჩამორჩენილი, ძილს მიცემული ქართველი („გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ხართ!“). ამ ნიჭით აშოშვლებდა იმ პოლიტიკოსებს, მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობდნენ, ქვეყანა და ხალხი არ ადარდებდათ („ცუცა, სდექ!“) და სხვ.

ამ ნიჭით ამხელდა სახელგანთქმულ მწერლებს, რომლებსაც ცა ქუდად არ მიიჩნდათ და დედამიწა ქალამნად და უმარტივეს ჭეშმარიტებასა და ცხოვრების უბრალო ელემენტარულ მოვლენებში ვერ ერკვეოდნენ. და მისთ. და მისთ.

ერთი სიტყვით, კრიტიკის სივრცე, რომელიც ადრე ჰყვავდა, დღეს დამჭკნარ ყაყაოს ჰგავს. თამაზის დონის კრიტიკოსი, უმცირეს ატომსაც რომ ეროვნულ სპექტრში ატარებდა და ქვეყნის უბედურება, ჩინიანის თუ უჩინო ადამიანის ნაკლი მზის შუქზე გამოჰქონდა და მის მოგვარებას ლამობდა ისე, რომ ადამიანისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, არ მეგულეობდა. მაგრამ, თუკი მომავალში უფალი ინებებს დამის სადარ ადამიანს, შემოქმედს მოგვივლენს, მაღლობის მეტი რა გვეთქმის ქართველებს!

მთავარი მაინც ის არის, რომ თამაზ ნივნივაქე ღვთის ბოძებულ ნიჭთან ერთად უნაკლო ადამიანი და ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო; ვინც მამულს აღმერთებდა, ქართული ეროვნების სრულყოფილება უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნდა, ქართულ ტრადიციებს ერთგულად, ქართული ოჯახი სინამდის სათავედ მიიჩნდა. საოცრად უყვარდა თავისი ღირსეული ძმები – თენგიზი და მურადი, განსაკუთრებით კი თავისი დაიკო – დოდო, რომელსაც ის დასტრიალებდა და უფრო ხილდებოდა ვითარცა განდევნილი ღმერთისთვის დანთებულ სანთელს. დიდად აფასებდა ბუნებით კეთილ ადამიანს, ნიჭიერებს და არ მახსოვს, სხვის წარმატებას მასში შური აღეძრას, პირიქით, სხვისი წარმატებებითა და სრულყოფილებით ხარობდა. ამასობა კიდევ, ასეთები ვართ ქართველებიო. უზადო მეგობარი იყო, არასოდეს გიღალატებდა და დაღმართზე დაშვებულს საყვედურის ქვას არ დაგადევნებდა. ეს პირადად მე გამოვცადე, როცა აიჭრა ქვეყანა და ქართველი ქართველს აღარ ჰგავდა; როცა ისეთი რეჟიმი დადგა, რომ ტელეფონით შენთან საუბარს ერიდებოდნენ; როცა ადრე ვერას გიბედავდნენ და დრო იხელთეს, გულში დაგუბებულ შხამს სხვადასხვა მეტაფორით აფრქვევდნენ. თამაზს ფიქრადაც არ მოსვლია, ჩემზე რაიმე საყვედური ეთქვა, მეტიც, როცა, აუფი ჟამის გამო, იძულებული ვიყავი, გერმანიაში გაეზიზნულიყავი და რამდენიმე წელი იქ ოჯახითურთ მეცხოვრა, შორეულ, ცივ, მაგრამ მაძღარ გერმანიაში ხშირად გამხსენებია თამაზი თავისი ირონიული, მაგრამ გულწრფელი ღიმილითა და ეს კიდევ უფრო მიძლიერებდა სამშობლოსან დამორებით აღძრულ სევდას. დაბრუნების შემდგომ კვლავ აღდგა ჩვენი მეგობრობა, გულწრფელი, ძველნაირი. მაგრამ განმორების სევდა, რომელმაც რამდენიმე წელი ვასტანა, მაინც თან სდევდა ჩვენ ურთიერთსიყვარულს. ამას კარგად გამოხატავს თამაზის წარწერა ის ერთ-ერთ ბოლო წიგნზე, მე რომ მომიძღვნა: „ძვირფასო მეგობარო, რამდენი დრო გასულა, რაც ერთმანეთს არ შეხვედრებართ! ამ განმორებით გამოწვეულ სევდას შენ ვერ იგრძნობდი! მე კი ძალიან მენატრებოდა! ერთი სიტყვით, ახლა მზად ვარ, ჩემს გრძნობებში გამოვიტყუდე და გულწრფელად გითხრა: „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ“. თამაზის ამგვარი დამოკიდებულება მეგობრისადმი არ არის გასაკვირი, რადგანაც მისი მოღვაწეობა და ცხოვრება მთლიან ჭეშმარიტ მეგობრობაზე იყო დაფუძნებული და გასხვიოსნებული.

ახლა თამაზ ნივნივაქე იმ ღვთის, მარადიულ სამყაროში დამკვიდრდა. ამ განმორებით მრავალ მის მეგობარსა და ერთგულ მკითხველს გული დაგწყვიტა და მძიმე დარდი და სევდა მოგვგვარა, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ მისი სახელი, ვიდრე საქართველო და ქართველი ერი იარსებებს, მარად იკიაფებს და იბრწყინებს ქართული მწერლობის თავზე.

და კიდევ ერთი: დიდი იმედი მაქვს, რომ დამორებას უცილობლად მოჰყვება მარადიული ურთიერთხილვა და შეერთება იქ, სადაც ღვთიური სხივი ასხვიოსნებს და ბნელს ადგილი არა აქვს, ჩემო მეგობარო და მართალი ადამიანო.

ელისბარ ჯაველიძე

ის ქვეყნის სიყვარული დაიფარულა

ჩემს ცხოვრებაში იშვიათად შეხვედრებოდა პიროვნებას (კაცს), რომელიც მაღალი დონის ერუდიტი, საოცარი ნიჭის მქონე, პუბლიცისტი, ბრწყინვალე მწერალი, მამაცი („ვითარცა უხორცო“), პირში მძრახველი (ცხადია, საჭირო შემთხვევაში), ჭეშმარიტი მეგობარი, შემართებული ყველა საქმეში. ეს თამაზ ნივნივაქე იყო. ვაი, რომ ჩვენს შორის აღარ არის. მე-80 წლის იუბილეს იგი უფლისაგან გამწესებული სულეთში, მართალთა შორის ხვდება. მისი ამქვეყნიდან წასვლით საზოგადოებაში გარკვეული სიცარიელე დაბუდდა. ცოტა ხნის წინათ მივიღეთ ძმის გამორჩეულად მოყვარული და უერთგულესი დის – ქალბატონი დოდოს მიერ გვირგვინდადგმული თამაზ ნივნივაქის საოცარი წიგნი „რა ქვეყანაში, ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობდით.“ საოცარი ნაშრომია. თითქოს ყველა მასალას ვიცნობდი, მაგრამ ამ წიგნის ნაკითხვამ ღრმად დამარწმუნა, რომ მისი ავტორი უზენაესი ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული

პიროვნება იყო და რეალობაში წარმოგვიდგინა ჩვენი ცხოვრება თავისი უარყოფითი მხარეები. არ დამავინყებდა: წერილი მომწერა – მარტყოფის ველზე დაგლოდნები, ეს შეგეჰპირს (თანადგომასა და ჭირსა და ლბინში გვერდით ყოფნას ნიშნავდა. ერთობლივ ბევრი რამ გავაკეთეთ – ჩვენი წერილის საფუძველზე მივალწიეთ – ჩვენი დიდი პატრიარქისა და წმიდა სინოდის უშუალო გადაწყვეტილებით, ცოტნე დადიანი წმინდანად შეირაცხა. ერთად ვიბრძოდით ქ. ათენში საგანგებო შეხვედრაზე აფხაზეთთან კეთილი ურთიერთობის აღდგენა-განვითარებისათვის. ბევრი სხვა. თამაზ ნივნივაქე თხემით ტერფამდე ქართველი იყო და მისი ყოველი ცხოვრებისეული ნაბიჯი ქვეყნის სიყვარულით იყო გაჯერებული. უმნიშვნელოვანესი იყო მისი რეალისტური ხედვა მძიმე დღეში ჩავარდნილი საქართველოს ბედ-ილაზზე.

თამაზ ნივნივაქე გამორჩეული იყო ჩვენს საზოგადოებაში. რთული და საინტერესო გზა გაიარა. ეს გზაც სიყვარულით და სითბოთი სავსე იყო – იმერეთის ერთი პატარა სოფლის მოწაფეობიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობამდე. ქვეყნისა და ხალხის სამსახურით დამაშვრალი, ქართული საზოგადოების გულწრფელი სიყვარულით შემკობილი თამაზ ნივნივაქე მარად დაუპიწყარი იქნება ჭეშმარიტი ქართველებისათვის.

როინ მეტრეველი



როგორც ჩანდა, როგორც იყო

თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორიაში შევიდა რამდენიმე სახელი, რომლებმაც კრიტიკოსის პროფესიული დიაპაზონი სტრატეგიულად გააფართოვეს და კრიტიკა, როგორც ანალიტიკური პროცესი, საზოგადოებრივ ფენომენად აქციეს.

მათ შორის არის თამაზ ნივნივაქე – სახელი, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა მეოცე საუკუნის 80-90-იანი და ოცდამეერთის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს.

მან შექმნა კრიტიკულ-პუბლიცისტური აზროვნების ექსკლუზიური სტილი, რომელსაც უნდა გამოერიცხა ტრადიციონალისტური კრიტიკის მეტოქეობა და განევითარებინა ახალი პროცესი ლიტერატურულ ანალიტიკაში.

და მან ეს შეძლო! მიაგნო დროის შესაბამის სტილს, მანერას, ფორმას, რომელსაც შეგვიძლია ირონიულ-პაროდული კრიტიკა ვუწოდოთ.

თუ სამოციან წლებში ქართულ პოეზიაში ჩამოყალიბდა ირონიულ-პაროდული ლექსის ფორმა, ოთხმოციან წლებში ამას მოჰყვა რეფლექსიური ანალოგია – ირონიულ-პაროდული კრიტიკა.

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ ამ სტილს. მთავარია, ის არსებობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის დროსა და სივრცეში, დაფიქსირებულია ორიგინალური კრიტიკული დისკურსი, როგორც თამაზ ნივნივაქის ხასიათი, სახე, ავტოგრაფი.

თავიდანვე ეტყობოდა, რომ ის არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. იმთავითვე ჩანდა მასში რაღაც არაორდინარული, არასტანდარტული, არაჩვეულებრივი, ოღონდ, რა იყო ეს, ძნელი სათქმელი გახლდათ, რადგან, რასაც წერდა, როგორც წერდა და რისთვისაც წერდა, ეს ყოველივე, ერთი მხრივ, თითქოს ხელისგულზე იდო, მაგრამ, მეორე მხრივ, რაღაცას მალავდა თავის თავში, რაღაც გაუხსნელ თუ აუხსნელ პოტენციალს, რომელსაც უხმო, უბგერო პოლიფონიურობას ვუწოდებდი, რადგან შენ, მკითხველს გიტოვებდა საშუალებას თვითონ მოგეძებნა, დამოუკიდებლად აღმოგჩინა ის ტონები და ობერტონები, რომლებსაც უხვად შეიცავდა მისი კარნაგალური ეტიუდები.

თავის შემოქმედებაში მან პუბლიცისტის სპეციფიკური თავისებურებები გამოკვეთა და აამოქმედა. პირველ რიგში, ეს გულისხმობდა მიმდინარე საზოგადოებრივი პრობლემების წინ წამოწევისას და ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის საჭირო პიროვნულ მზაობას, ფსიქოლოგიური საფანელისა და ნებელობის ჩამოყალიბებას.

კარგად ესმოდა კრიტიკისა და პუბლიცისტის დანიშნულება. გაშინაგნებული, გათავისებული, გაააზრებული თქონდა ამ დარგის მთავარი მიზნები და მათგან უმთავრესი – საზოგადოებრივი რეზონანსის შექმნა – გენიალურად გამოსდიოდა.

აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა უნარი და თვითრწმენა, რომ თავი ეგრძნო სახალხო ტრიბუნად, თავის იდეებსა და მისწრაფებებში დაენახა პრაქტიკული საჭიროება და ყოფილიყო ისეთი, როგორც შორიდან ჩანდა, და ისეთი, როგორც სინამდვილეში იყო.

ივანე ამირხანაშვილი

პარასკევს, 10 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართება თამაზ ნივნივაქის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და თამაზ ნივნივაქის სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „ფრთხილად, წინ მკითხველი“ – გამარჯვებულთა დაჯილდოება. დასაწყისი 16.00 საათზე

მისგან უარი არასოდეს მსგენისა

სრულიად ყმაწვილი გავიცანი „ცისკრის“ რედაქციაში მოსული თამაზ ნივნივაძე. მაშინვე შევეთვისეთ ერთმანეთს, დავახლოვდით და ჩვენი უხინჯო მეგობრობა მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. მას მერე, რაც აღარ არის ამ ქვეყნად, ისლა დამრჩენია, გულით ვატარო ამ მრავალმხრივი ნიჭიერებისა და სიკეთით აღსავსე პიროვნების ნათელი სსოვნა.

თამაზმა პირველივე უძაფრესი წერილებით მიიპყრო მკითხველთა საყოველთაო ყურადღება და მალევე მოიპოვა პირუთენელი, შეუდრეკელი კრიტიკოსის სახელი. იგი, უპირატესად, აღზევებულ, გათავებულ უნიჭობას ძირკვავდა და არ მახსოვს შემთხვევა, მისგან გაპტყვნილი მდარე წიგნის ავტორი წელში გამართულიყო, რამე ხეირანი გამოსვლოდა. ასეთივე შემართებით წერდა ცხარე ფელეტონებს, სადაც არ ინდობდა სხვადასხვა რანგის ბობოლა მოხელეებს, უტივდა ჭაობს, რუტინას, დახასებულ, დრომოჭმულ აზროვნებას და ამით ქართულ ყურნალისტიკაშიც წარუშლელი კვალი დატოვა.

გაძნელებდა მეორე ლიტერატორის დასახელება, ვისაც ამდენი და ასე უშეღავათოდ ებრძოლოს სხვადასხვა უკეთურობათა წინააღმდეგ, თანაც ასპარეზზე ყოველთვის გამარჯვებული დარჩენილიყო. ლაღს და უშურველს უყვარდა ხოლმე ვაჟას უკვდავი პოემის – „ბახტიონის“ გმირის, ზეზვა გაფრინდაულის ნათქვამის მოხმობა და აქ ნამცეცი ტრაბახიც არ ერია. სწორედ მასზე იყო ზედგამოჭრილი:

სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია,
ძუძუს მამწყვიტა დედამა.

ესეც სათქმელია – თამაზსავით ცოტა ვინმეს თუ ახარებდა თანამოკალმეთა წარმატება. არ დამავინყდება (მაშინ გურამ ფანჯიკიძე იყო „ცისკრის“ რედაქტორი და თამაზს პროზის განყოფილება ებარა), რეზო ჭიჭიშვილის ერთ-ერთი შედეგური – „მუსიკა ქარში“ – ახალი წაკითხული ჰქონდა და აღფრთოვანებულმა თქვა, დიდი ბედნიერებაა, რომ ქართულ ენაზე ასეთი რომანი შეიქმნა. ამას იმხანად ბევრი ვერ მიხვდა.

არ მახსოვს, თამაზ ნივნივაძესთან რაიმესთვის მივსულიყავი და უარით გავესტუმრებინე. მეტწილად სხვების გამო ვანუხებდი. ჩემი თხოვნით რამდენიმე კაცს უშოვნა სამსახური. კარგი, წაკითხი ლიტერატორი და წესიერი ადამიანი შოზი აბრამიძე, ვისაც მასთან მივეყვი, გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, კულტურის სამინისტროს გამგედ დაანიშნინა. წლებია, აღარ მინახავს, ნეტა, ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს.

მისი უსახვრო გულკეთილობა არაერთხელ ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. ყველა შემთხვევას არ ჩამოვთვლი. ლანჩხუთში მარტოდ დარჩენილი გამზრდელი მამიდა გარდამცევალა. დეკემბერი იდგა. ფილტვების ანთებით ლოგინში ვინექი. სოფელში ველარ შევძელი წასვლა, გასვენებულისთვის უკანასკნელი პატივი რომ მეცა. თამაზმა გაიგო, რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი და მძლოლის ხელით მამიდას დასამარხი ფული გამომიგზავნა. დასაფლავებაზე შეუღლე გავუშვი.

„ცისკრის“ პირველი რედაქტორი, სამოციანელთა ბრძენი მოძღვარი, საუკეთესო მთარგმნელი და მწერალი ვახტანგ ჭელიძე მძიმე ავადმყოფი, ვისაც მთელი ცხოვრების ნამუშევარი შემნახველ სალაროში ჰქონდა შეტანილი და იმოდენა თანხა ერთ დღეს დაკარგა, უკიდურეს სიღატაკეში აღმოჩნდა – წამალსაც ვეღარ ყიდულობდა, სიცოცხლისგან იყინებოდა. თამაზს როცა ეს შევატყობინე, ხელად გამატანა ფული, ბატონ ვახტანგს გამათბობელი და სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტები რომ შეეძინა. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო.

ქაოსით, განუკითხაობით მოცულ ოთხმოცდაათიან წლებში უშუალოდ თამაზ ნივნივაძის მონაღინებით დაარსდა ლიტერატორთა დაახლოებით ოცკაციანი გაერთიანება „ოტარიდი“, რაც იმხანად საგრძობი დახმარება იყო. ამან თვალსაჩინო როლი შეასრულა; დროდადრო ჩვენი ავტორობით ვებჭდავდით საგანგებო ნომრებს, გვექონდა გრაფიკულად გაფორმებული იუმორისტული ოთხვეკვრდიანი ჩანართი „რია-რია“, რასაც მორიგეობით ვადგენდით. იგი ძალზე პოპულარული გახდა, სიამოვნებით კითხულობდნენ, მაგრამ ეს სახალისო გამოცემა დიდხანს აღარ გაგრძელდებოდა.

„ოტარიდის“ შექმნა მიმანიშნებელი გახლდათ, რომ მწერალთა კავშირი იმ სახით და სტრუქტურით ვეღარ იარსებებდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო. მწერლობის როლი, ჩვენდა სავალალოდ, თანდათან დაქინდა, ღირსება დაკარგა.

სხვებთან ერთად ბევრჯერ მიფიქრია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს უსახური მასისგან გამოცალკევებული, პროფესიონალ მწერალთა კლუბი, დაახლოებით ას ორმოცდაათი წევრისგან შედგენილი (გამოცდილ მთარგმნელთა ჯგუფიც იქ უნდა შედიოდეს), რომელსაც ეყოლებოდა მწერლობის ავ-კარგის გამგები, საქმეში ჩახედული მენეჯერი, ვინაც მოიზიდავდა საჭირო თანხებს; მცირე, პირუთენელი საბჭოს დახმარებით განსახლვრავდა, რომელი ავტორის წიგნი გამოსულიყო. საჭიროა, აგრეთვე, ერთობ დამცრობილი ტირაჟის გაზრდა, რაშიც უნდა ჩაერთოს ბიბლიოთეკათა ფართო ქსელი. აქ, ალბათ, აუცილებელი იქნება, გავითვალისწინოთ უცხოეთის გამოცდილება. სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე, ცხადია, ამ ძნელ საქმეს თავი ვერ მოებმება.

ლიტერატურის წინსვლას, განვითარებას დიდად აფერხებს ისიც, რომ ჩვენთან ამჟამად აღარ არსებობს ნამდვილი კრიტიკა, ცალკეული, საორდლოდ შეკონინებული, ამბიციებით შეპყრობილი დაჯგუფებები ერთმანეთის მაამებელ სახობტო რეცენზიებს წერენ. ფეისბუქში მე ნაკლებად ვიხედები, მაგრამ გამოგია, რომ იქ უშვერი გინების კორიანტელი დგას და ახალგაზრდების უმრავლესობა ახლო წარსულის მწერლობას არ იცნობს.

თამაზ ნივნივაძეს არც ერთი ხელისუფლების წინაშე არ მოუხრია ქედი. მას, ნოდარ დუმბაძის დარად, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რესპუბლიკის ხელმძღვანელთან, მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკოსთან, ედუარდ შევარდნაძესთან, მაგრამ ამ კავშირს სათავისოდ არ იყენებდა, მუდამ ცდილობდა, რაიმე ქართული მწერლობის სასარგებლოდ გაკეთებულიყო. ბატონ ედუარდთან შეხუმრებულ ხშირად შეახსენებდა მას საბაბს დამაფიქრებელ იგავს ცალთვალა ხელმწიფეზე, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას გენიალური მოთხრობების ბებერ მველ ტოტიაზე ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას, აფრთხილებდა, თქვენს გამოზრდილებს ნუ ენდობითო. ისიც ბევრჯერ გაუმეორა, გაიძვერებთან, თვალთმაქცებთან დემოკრატია არ გამოდგებოდა. იმან არ დაიჯერა და სანანებელი გაუხდა.

ყველას გვახსოვს, როგორ ხმალამოლებული ებრძოდა თამაზ ნივნივაძე ნაცების მოლაღატი, მანამებელ, სისხლში ამოთხვილ კრიმინალურ მთავრობას. იმათაც არ დააყოვნეს სამაგიეროს გადახდა და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ვანდალურად დაარბიეს, უბინაოდ დატოვეს.


ბატონი ბიძინა ივანიშვილის უდიდესი გარჯის შედეგად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებელი ავაზაკები ხელისუფლებას კი ჩამოაშორეს, მაგრამ ნაცების შხამიანი ნარჩენები, კუდები პარლამენტსა თუ ქუჩაში დემაგოგიური მოწოდებებით ჰაერს წამლავენ, ყველანაირად ცდილობენ საქართველოს სრულ განადგურებას, გაქეღვას; ვიშვიშებენ დღევანდელი ხელისუფლების აუტანელ „რეჟიმზე“, თავისუფალი სიტყვის „დაკარგვაზე“, განსხვავებულ მოაზროვნეთა „დეგნაზე“; ლამობენ, სისხლის სამართლის აშკარა, ამაზრზენი დამნაშავენი „პოლიტიკურ პატიმრებად“ წარმოაჩინონ. გულზე ხეთქავთ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის შეუმცდარი გეზი, მმართველი პარტიის ლიდერის ირაკლი კობახიძის შეუვალობა; რკინისებური ლოგიკა, ყველა სიავის ზუსტი შეფასება. ჩვენმა პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, ანალიტიკოსებმა – გოგა ხანდრავამ, პეტრე მამრადემ, დავით ქართველიშვილმა, თეა ნულუიანმა, მამუკა არემიძემ, ლევან ნიკოლეიშვილმა, გაა ცაგარეიშვილმა და სხვებმა უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მრავალგზის ამხილეს, გამოაშკარავეს ტვინნაღრძობთა ვითომდა ოპოზიციონერთა მზაკვრული მიზნები, მაგრამ იმათ არაფრის გაგება არ სურთ, არ უშვებიათ უნიჭო დემაგოგიას, თავისას მიერეკებიან, მიკროფონჩართულები უწმანურად ილანძლებიან.

თამაზ ნივნივაძე მუდამ აქტიურად ებმებოდა ცხარე პოლიტიკურ პროცესებში, ყველას თავი-სას მიუზღაღდა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ გადაჯიშებულმა არამზადებისგან ბუნდლასაც არ დატოვებდა.

მოუწელებელი სანუხარია, რომ თამაზის გარდაცვალების მერე მისმა ძმებმა, მასავით რაინდული სულის ვაჟკაცებმა მურად და თენგიზ ნივნივაძეებმა, რომელთაც სიკეთის გაცემის მეტი არაფერი უკეთებიათ, ზედიზედ დატოვეს სამზეო. წარმოდგენილი გვაქვს, რა ყოფაშია სამი ასეთი ძმის დამკარგავი დოდო ნივნივაძე, ვისაც ისინი ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ. ქალბატონი დოდო, ათეული წლებია, ჭირისუფლობის ერისთვის ესოდენ საჭირო საყმაწვილო ყურნალ „დილას“ და შეუდარებელი სისათუთით უფლის საფიქარი ძმების ხოვნას.

თამაზ ნივნივაძის ფასდაუდებელ ამავს და თავდადებას თუკი დრევანდელ, უკიდურესად მღელვარე, უფსკრულის პირად მდგარ მსოფლიოში მომავალი ექნა, არასოდეს დაივინყებს მისი მშობელი საქართველო.

ეფხარ კვიტიანიშვილი



პკითსულოზ თაგაზს

თამაზ ნივნივაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გვერდაუფელ ფიგურად დარჩა. გავიხსენოთ, რაოდენ მძღაღრად გაისმა მისი ხმა, როცა იგი კრიტიკაში მოვიდა. თამაზ ნივნივაძის ლიტერატურულმა წერილებმა ერთგვარი განახლების სული შთაბერა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას. ეს განახლება იმაში გამოიხატებოდა, რომ კრიტიკა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების, მსჯელობის საგნად იქცა. იქნებ, ერთობ მოკრძალებულად ასეთი მოსაზრებაც კი გამოითქვას: თამაზ ნივნივაძემ ლიტერატურული კრიტიკა ლიტერატორთა წრიდან გამოიყვანა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების საგანი გახადა. ამით თავად ლიტერატურის, პროზის, პოეზიის პროპაგანდაც გასწია.

ასე რომ, გადავწყვიტე, ყურადღება გამემახვილებინა თამაზ ნივნივაძეზე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსზე და ამჯერად ვვერდი ამველო მისი პუბლიცისტიკისათვის, რომელსაც შეიძლება, სატირული პუბლიცისტიკაც კი უწოდო. პუბლიცისტიკა ხომ უმეტესწილად იმ დროის, იმ საზოგადოებრივი სულისკვეთების გამოხატულებაა, რომლის ნიაღშიც იქმნება.

ჩემს ბიბლიოთეკაში თამაზის წიგნები მოვიძიე: თვალს გადავავლებ, მესხიერებაში კარგად ჩარჩენილი წერილების კვლავ გადაკითხვა არ მანყენს-მეთქი. მოვიძიე, ვიპოვე და კითხვასაც შევუყვი. ვკითხულობდი და ვგრძნობდი თუ როგორ მეცვლებოდა აზრი: დაიხ, თამაზ ნივნივაძე ჩინებული კრიტიკოსი იყო. ქართული ლიტერატურის ტაძრიდან ბევრი ნაგავი გააზიდინა. რამდენიმე გაფუყული ლიტერატურული ავტორიტეტი სარკეში ჩახებდა და მაინც: დღეს ვხედავთ, თვის მსოფლიოდ ლიტერატურულ კრიტიკაში არ თქვა წონადი სიტყვა. საქართველოს საზოგადოებრივი ყოფიერების მაჯისცემისათვისაც მივედო ყური, მის პულსაციას ცხადად გრძნობდა.

თამაზის ამ წიგნების კითხვამ ისე გამიტაცა, შემომალამდა და განზრახვაზე – მხოლოდ მის ლიტერატურულ კრიტიკაზე დამენერა, უარი მათქმევინა, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: თამაზ ნივნივაძე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი იყო.

ის საზოგადოება, ის ლიტერატურული სამყარო, რომელსაც თამაზ ნივნივაძე ან მისი ბადალი კრიტიკოსი, პუბლიცისტი ჰყავს, ბევრი რამისგან არის დაცული: როცა მავანმა იცის, რომ მის ქმედებას, ამა თუ იმ თეზას, შესაძლოა თამაზ ნივნივაძემ ან მისმა დარმა ლიტერატორმა თვალი დაადგას და მსჯელობის საგნად გაიხადოს, თვის ნააზრევს მეტი ყურადღებით ჩაპკრიკიტებს. ეს ჩაკრიკიტება ნაფიქრის, ნაწერის მართალი კაცის სასწორზე ანონვა შემოქმედისათვის სასიკეთოა. ამდენად, თამაზ ნივნივაძე, აკაკი ბაქრაძისამებრ, ის კრიტიკოსი და პუბლიცისტი იყო, რომელიც, ან რომლის დარიც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას ყოველთვის სჭირდება, ყოველ დროში. დღეს – განსაკუთრებით.

პუბლიცისტიკა ხომ უმეტესწილად იმ დროის, იმ საზოგადოებრივი სულისკვეთების ინტერესის საგანი გახლავთ, რომლის ნიაღშიც იქმნება-მეთქი, დაწერე ზემოთ. თამაზის პუბლიცისტიკამ ლამის აზრი შემაცვლევინა – იგი დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. ამიტომ დაბეჯითებით ვამბობ: თამაზ ნივნივაძე ის მწერალია, რომელიც ან რომლის დარიც ქვეყანას ყოველ დროში სჭირდება.

P.S. ხდება ასეთი რამ: მეგობრებს, ახლობლებს წიგნებს ვწუქნით. თავფურცელზე ორიოდ სიტყვასაც დავწერთ ხოლმე. დღეს რაოდენ ძვირფასი გახლავთ თამაზის მიერ მეოთხედი საუკუნის წინათ ნაწუქარ წიგნზე წარწერა: „ჩემს ძვირფას გურამს! ძმობით და სიყვარულით. თამაზ ნივნივაძე. 22.05.97“.

ახლა მე მინდა ვუთხრა თამაზს: ჩემო ძვირფასო თამაზ, ძალიან აკლიხარ თანამედროვე ქართულ მწერლობას!

გურამ პათიაშვილი

შალვა საბაშვილი

მცირე წინათქაზა

„ლიტერატურულმა საქართველომ“ ეს...
საა დაასრულა მთარგმნელ პაატა ჩხეიძესთან...
პოეტ დავით შემოქმედელთან, პროზაიკოს თამაზ ხმალაძესა და კრიტიკოს ლევან ბრეგვაძესთან...
ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილის ვრცელი საუბრების პუბლიკაცია, დღევანდელი ნომრიდან კი იგი იწყებს ქართული ბეჭდვითი პროდუქციის საყურადღებო ასპექტებზე ჩემი მორიგი (შესაძლოა, ყველაზე ვრცელი) ნაკვეთის გამოქვეყნებას. იმედია, ქართულ ენაზე ზრუნვის ამგვარი მცდელობა მკითხველის თანაგრძნობას დაიმსახურებს.

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა იმ ნაწილს, რომელსაც ენის პრობლემები აინტერესებს, არ შეიძლება თვალში არ მოხვედროდა რომელიმე მაინც იმ ათამდე წერილიდან, რომლებიც მე ბოლო ორი ათწლეული წლის განმავლობაში გამოაქვეყნე ამ გაზეთის ფურცლებზე უცვლელი სათაურით და ზუსტი ნუმერაციით. ამ პუბლიკაციათა მიზანი ნათელი იყო: სხვა ავტორებთან ერთად, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, რაიმე მცირე რეზონანსი ზუსტი, უმეცდომო, ყველანაირ ენობრივ ხარვეზებს აცილებული ზეპირი თუ წერიტი მეტყველების დასამკვიდრებლად.

ეს მიზანი სრულიად გამართლებული მგონია, რადგან ენა და მისი მეშვეობით დღემდე დაგროვილი აურაცხელი მოცულობის სიტყვიერი პროდუქცია, რომელიც დედამიწისა და დანარჩენი სამყაროს აგებულების უთვალავ ასპექტს, ასევე ადამიანის სულიერი სამყაროს შრეებს, ხელოვნების, მეცნიერების, ფილოსოფიისა და სხვა სფეროებში დაგროვილი წარმოუდგენელი მრავალფეროვნების მქონე ინფორმაციას შეიცავს, ჩვენი ცივილიზაციის მთავარი მონაპოვარია. ყველა საგანი თუ ნაგებობა, ყველა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თუ გეოგრაფიული ლანდშაფტი შეიცვლება, წაიშლება ან გაუფერულდება, სიტყვიერი განძეულები კი მარად დარჩებიან და სწორედ ისინი გააერთიანებენ ერებს, გეოგრაფიულ მხარეებსა თუ დროისმიერ ინტერვალებს. ეპოქათა მთავარი შინაარსი ენაშია ასახული, ენის ფენომენია ნებისმიერი ცივილიზაციის არსებობისათვის გამართლების მიმცემი ძირითადი რეალობა. ისიც კი შესაძლებელია, რომ ენა მატერიის განვითარების გვიანდელი წარმონაქმნი კი არა, მისი (ამ განვითარების) პირველი ბიძგის მიმცემი და ჩამსახველი იყოს. აქ მე ვეხმარები ჰეგელის აბსოლუტური გონის იდეას, რომელიც საკუთარი ფენომენის შეცნობის მიზნით დანაწევრებულ მატერიას სინამდვილედ გარდაიხსნა, აგრეთვე ბიბლიურ შეგონებას: „პირველთაგან იყო სიტყვა“. ამიტომ არაფერს ისე ძლიერ არ მოეთხოვება შინაგანთან ერთად გარეგნული სრულყოფილება, როგორც ენობრივ პროდუქციას. მისი უმაღლესი სახეობანი – ფილოსოფიური ქმნილებები თუ მხატვრული ლიტერატურა საკუთარ თავს თვითონვე მოუვლიან, მაგრამ ნაკლები მნიშვნელობა შესაძლოა არც „ყოველდღიურ“ ნაბეჭდ თუ ზეპირ ენობრივ მასალას შექმნას, რომელიც ეფერება მონასახლეობის ყველა ფენას წინაგანაწილად, უფრონაღაზებულად, ადგილ-ტელევიზიიდან თუ პოლიტიკური ან სხვა სახის ტრიბუნებიდან, რადგან სწორედ იგი აყალიბებს ადამიანთა ერთიან ენობრივ კულტურას. ეს უკანასკნელი კი შემდგომში საფუძვლად ედება ყოველწინა მცენიერულ, ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ ნაშრომთა შექმნას. რაც უფრო მწყობრი იქნება ენობრივი საფუძვლები, მით უფრო ღრმა და ძლევამოსილი წარმოგვიდგებიან მისგან ნაგები უმაღლესი ქმნილებანი. დაბალი ინტელექტითა და გამოსახვის უღიმამო კულტურით მაღალი ფასეულობანი ვერ შეიქმნება.

აქედან გამომდინარე, კვლავაც განვადრძობდი ყოველდღიურად ჩვენზე „დატეხილ“ საინფორმაციო პროდუქციას და კვირებებს და მდიდარი მასალაც დამიგროვდა. საინტერესო კი ამ მხრივ ბევრი რამაა, რადგან ენა პარადოქსულად ღრმა მოვლენაა. მას არა აქვს უმნიშვნელო წახნაგები. ყველგან რაღაც მოლოდინული შეიძლება წამოიმართოს – აქ იმ ზოგადსიტყვიერ სტრუქტურებსაც ვგულისხმობ, რომლებიც სხვადასხვა ინტენსიურობით ყველა ენაში შეიძლება შეგვხვდეს, და იმ სასწაულებრივ კონსტრუქციებსაც,

წერის ძველი კულტურისათვის

რომლებიც მხოლოდ ზღაპრულად მშვენიერ და წარმოუდგენლად ღრმა აგებულების მქონე ქართულ ენაში ხორციელდება. ამიტომ გადავწყვიტე ამ თემაზე პუბლიკაციების გაგრძელება.

მთავარ სათქმელზე გადასვლამდე კი წუხილი მინდა გამოვთქვა იმაზე, რომ ქართული წერილობითი თუ ზეპირი საერთო-ქვეყნიური მეტყველება დღითიდღე კი არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, უარესდება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. თუ წინა საუკუნეებში მოსახლეობის ფართო ფენებამდე მხოლოდ მცირერიცხოვან ავტორთა (მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, განათლების მუშაკთა) სიტყვიერი პროდუქცია აღწევდა, დღეს ასეთი უფრონაღაზებულობით უფრონაღაზებულობით, რადიო-ტელევიზიის, ინტერნეტის პროგრამათა ეპოქაში, მოსახლეობა უამრავი ადამიანის ნააზრევს უსმენს თუ კითხულობს. ბარიერები გაუქმებულია, ყველა „მწერალი“ თუ „ტელეწამყვანი“ და მათ ძალადობას ენისადმი და განუკითხავობის შეგრძნების აღმძვრელ ქმედებას საზღვარი არა აქვს. გამჭრალა ყოველწინა კონსტროლი არააღიარებულია, უცხოელები თუ სკაბრეზულ ფორმებზე. მთავარი კი წერის დაბალი კულტურაა, რომელიც გამორიცხავს შინაარსობრივ სიზუსტეს, თბობის ლოგიკურობას, გამოსახვის ლაკონიურობას. მრავალი ე.წ. უფრონაღაზი კი რეპორტაჟებსა თუ ინტერვიუებში თითქოს სიმართლის დადგენას კი არა, უფრო მის მიჩქმალვას ემსახურება, რაც გაცილებით ადვილი მისაღწევია აბურდულ-დაბურდული, დაუხვეწავი, არალოგიკური მეტყველებით. ასე რომ, პრობლემა მრავალმხრივია და მის მოგვარებასაც მრავალგვარ ღონისძიებათა სისტემა სჭირდება. მე კი, ჩემს შესაძლებლობათა სიმცირის გამო, მხოლოდ კონკრეტულ ენობრივ დარღვევათა ანალიზით შემოვიხაზავებ.

ეს ანალიზი რომ მაქსიმალურად ნასდგომოდა მკითხველს, მუდამ ვცდილობდი, თითოეული დარღვევისათვის მიმეთითებინა მისი გრამატიკული არსი, ანუ თანდათანობით გამომეკვია ენობრივ ხარვეზთა ერთგვარი დალაგებული სისტემა. ბოლო ვრცელი მასალის მცდარი ფორმებიც დაეყავი ვგუფებდა ნაპოვნი ენობრივ დარღვევათა ხასიათის მიხედვით. თვითონვე განვცვიფრდი, რომ 150-მდე ნიმუშიდან შეცდომათა 40-ზე მეტი კლასი გამოიკვეთა (თითოეული მათგანი კი, თავის მხრივ, ბევრი ქვეშემთხვევისგან შედგება). ყოველ კლასს შევუსაბამე მეტ-ნაკლებად სახიერი გრამატიკული დახასიათება, რაც უფრო ნათელს ხდის დარღვევის ხასიათს, ამიტომ გაუადვილებს მკითხველს შეცდომის არსში ჩანვდომას და შემდგომი მუშაობისას (უფრონაღაზი პრაქტიკას ვგულისხმობ) მსგავს შეცდომათაგან დაზღვევას, თუ რა თქმა უნდა, მას ამისი სურვილი ექნება. ამგვარი სისტემა ე.წ. გამოყენებითი გრამატიკის სფეროს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ასეთი „კლასიფიკაციების“ გარეშე მეტყველებაში დაშვებულ შეცდომათა ამონაწერი დაუსრულებლად გაგრძელდება და ნაკლებ სარგებლობას მოუტანს ავტორებს.

მივყავთ შემჩნეულ ენობრივ ხარვეზთა მიმოხილვას ნატურალური ნუმერაციით. შეცდომათა ავტორებს და სათანადო გამოცემებს, წინა წერილთა მსგავსად, არც ახლა მივუთითებ, თუმცა მათი ზუსტი დოკუმენტირება შენახული მაქვს.

1. შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება „კანონს“ „რომ“-ის წინ მძიმის დაწერის აუცილებლობის შესახებ.

ეს ძალიან საინტერესო საკითხია. არ ვიცი, ვინ მოიგონა ამგვარი „კანონი“, შესაძლოა გრამატიკის სახელმძღვანელოს რომელიმე ავტორმა ან ენის პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, როგორც ადვილად გამოსაყენებელი და იოლად დასამახსოვრებელი წესი (შორეული და ირიბი კავშირი გამოთქმასთან: „ყველა გზა რომში მიდის“). მაგრამ ეს „წესი“ საზიარო გამოდგა მისი მცდარობის გამო. მართლაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია მძიმის ხმარება ფორმებში: „იმისათვის, რომ“, „საჭიროა ვიცოდეთ, რომ“, „მან მითხრა, რომ“, „გადაეცია, რომ“ და უამრავ მეტ-ნაკლებად მსგავს სხვა ადგილზე, მაგრამ სინამდვილეში ყველა „რომ“ არ იმსახურებს მძიმის დასმას. ჯერ ერთი, როგორ უნდა დაუწვავთ წინ მძიმე „რომ“-ს, თუ იგი წინადადების პირველი წევ-

რია? ასეთი შემთხვევები კი, ერთი შეხედვით მათი თითქოსდა შეუძლებლობის მოუხედავად, რამდენიც მოგვსურვებათ, იმდენი მოიძებნება. აი, თუნდაც, ყველასთვის ცნობილი ნიმუშები მხატვრული ლიტერატურიდან: „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები...“, „რომ კომუნისტის სახელი გვერქვას, ყველა როდი ვართ ღირსი“ (მ. ნიშნაინიძე). მაგრამ ვერც წინადადების მეორე, მესამე და ა.შ. წევრად მდგომ ყველა „რომ“-ს დაუწვინეთ წინ მძიმე! აი ამ შემთხვევისთვისაც ყველასთვის ცნობილი მაგალითები: „მე რომ არ ამოდიროდეს...“, „შენ რომ სურათი მთხოვო, ი, მერი“ (გ. ტაბიძე). მაგრამ არამარტო „რიგით“ უფრონაღაზი, არამედ ფართოდ ცნობილი მწერლები და მეცნიერებიც კი, როგორც ჩანს, სრულიად გაუაზრებლად, ბეჯითად უწერენ ყველა „რომ“-ს წინ მძიმეს და არასასურველ მაგალითს აძლევენ უბრალო მკითხველს! აი ერთი ნიმუში: „მკითხველი, რომ არ გადავლავლო ამ ვრცელი ესეის გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდეთ.“ ამ ფრაზაში დასმული ერთადერთი მძიმე სრულიად უადგილოა – ცადეთ ნაკითხვა და დარწმუნდებით, რომ პირველ ოთხ სიტყვას სულმოუთქმელად წარმოთქვამთ, სიტყვა „მკითხველი“-ს მერე ყოველგვარი, თუნდაც უმცირესი შესვენების გარეშე, ასე რომ, ამ ადგილზე არც არავითარი სასვენი ნიშანი არაა საჭირო. აი, ამ ოთხი სიტყვის ნაკითხვის მერე კი, როცა აშკარად გამოიკვეთება მიზეზი თუ რატომ უნდა გადავიდეთ ესეის განხილვა, აუცილებლად გააკეთებთ პაუზას, სულს მოითქვამთ, შეისვენებთ და მერე უკვე დასმული ნიშანი ნაკითხვით წინადადების დარჩენილ ნაწილს. ამიტომ „გადავლავლო“-ს მერე მძიმის დასმა უკვე აუცილებელია! ამდენად, მოტანილი წინადადების სწორი ჩანაწერი ასეთი იქნება: „მკითხველი რომ არ გადავლავლო, ამ ვრცელი ესეის გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდეთ“.

მკითხველმა შესაძლოა ბოლო აბზაცში რამდენიმე საინტერესო ფაქტს მიაქციას ყურადღებას. დღემდე ვერ დაზუსტდა, როგორ უნდა იწერებოდეს ქართულად გამოკვლევის ერთ-ერთი ტიპის სახელწოდება: „ესე“, „ესე“ თუ „ესეი“. პირველი ამთავანი არღვევს მიჯრით მდგომი ორი იდენტური თანხმოვნის ქართულ ტექსტებში ერთი თანხმოვნით გადმოცემის დაკვიდრებულ წესს (მასსა – მასა, რასსა – რასა, ემმა – ემა და ა.შ.), მეორე ემთხვევა სხვა ქართულ სიტყვას („ესე“, რაც იმასვე ნიშნავს, რასაც „ამნარიანი“), მესამე კი იმ ძველ საუკუნეთა გამოძახილია, ყველა ქართული სიტყვა აუცილებლად „ი“-თი უნდა დაბოლოებულიყო („ყრი“, „ბლუი“, „დედაი“, „ძეი“ და ა.შ.), ანუ ესაა ნაბიჯი უკან და არა წინ. ეგებ, კიდევ შეთანხმდნენ უკვე ენათმეცნიერნი საბოლოო დაწერილობაზე, მაგრამ იგი რომ ვერ დამკვიდრებულა და სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირ ფორმას იყენებს, აშკარაა. 2. ზემოთ მე ვიხმარე გამოთქმა „მოტანილი წინადადება“. მაგრამ უმეტესწილად ხომ „მოტანილი“-ს ნაცვლად „მოყვანილი“-ს იყენებენ? რომელია სწორი და რომელი უნდა დამკვიდრდეს? მე ვფიქრობ „მოტანილი“, რადგან მოყვანა მხოლოდ ცოცხალს, სულიერს შეესაბამება. თუმცა სხვები შესაძლოა იტყვიან, რომ აქ მოტანაზე კი არა, უბრალოდ, დასახელებაზე საუბარია. შეიძლება ასეცაა. აი, რუსებშიც приведенный пример-ს წერენ და არა принесенный -ს. 3. ავტორი წერს: „მკითხველი რომ არ გადავლავლო“, ანუ საკუთარ თავს მხოლოდობით რიცხვში მოიხსენიებს. ასეც უნდა იყოს – ავტორი ხომ მარტოა, ერთადერთი. მაგრამ ბოლოში რატომღა ამატებს – გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდეთო (მრავლობით რიცხვში)? გადადების გადაწყვეტილებასაც ხომ მარტო ის იღებს? კარგი, ვთქვათ, მკითხველიც ეთანხმება მას ამაში, რადგან არ სურს, დაიღალოს, და ისიც მივიჩნიოთ გადაწყვეტილების მიღების მონაწილედ. მაგრამ განა იშვიათად შეგვედრით, ეული ავტორი რომ წერს: „ჩვენ გამოვიკვლიეთ ესა და ეს საკითხი“. საკითხიც ხომ მან ერთმა გამოიკვლია? პასუხობენ – თავმდაბლობას იჩენსო. მაგრამ ვსვამ კითხვას: საკუთარ თავზე „ჩვენ“-ის თქმა თავმდაბლობაზე მეტად ქედმაღლობას ხომ არ გვიდასტურებს? აი, ეს საკითხიც დასაზუსტებელია.

ზემოთქმულით იმის მინიშნება მინდოდა, რომ ენაში ყურადღებამისაქცევი და დასაზუსტებელი ჩემ მიერ მონიშნულ 40-ზე განუზომლად ბევრევერც იქნება.

მაგრამ დავასრულოთ „რომ“-ის წინ მძიმის დასმის საკითხი და მეორე ნიმუშზე ვნახოთ. „თხები, რომ ყლორტებს შეესევინან, თვითონ განზე გადგება“. ზემონათქვამის სულისკვეთების მიხედვით, პირველი მძიმე ზედმეტია, მეორე კი აუცილებელი (ანუ თავის ადგილზეა).

საერთოდ კი, გამოქვეყნებულ ტექსტებში იმდენი უადგილო მძიმე შემხვედრია ზემო-განხილულ კონტექსტში, რომ უცნობ გრამატიკოსს, ნაცვლად „რომ“-ის წინ მძიმის დაწერის აუცილებლობის „კანონისა“, ჯობდა, შთამომავალთათვის დაეტოვებინა შეგონება: „ყველა „რომ“-ის წინ როდი იწერება მძიმე!“ თუმცა სახელდობრ რომელი „რომ“-ის წინ უნდა დაწეროს მძიმე და რომლის წინ არა, ამის გადასაწყვეტად ყველა ავტორს მუდამ მაინც მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის მოხმობა დასჭირდება.

2. ქვემდებარისა და შემასმენლის არასწორი შეთანხმება რიცხვში. აქ თითქოსდა გასარკვევინ არაფერია: თუ მოქმედი პირი ერთადერთია, მაშინ ზმნა მხოლოდობით რიცხვის ფორმაში უნდა ვიხმაროთ („კაცი წავიდა“), ხოლო, თუ ერთზე მეტი, მაშინ მრავლობით რიცხვში („კაცები წავიდნენ“). შეცდომებს კი მაინც უშვებენ. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ვერ არკვევენ, რამდენია მოქმედი პირი გრამატიკული თვალსაზრისით. აი ნიმუშიც: „ეს ხალხი სხვა ქვეყნებში გადაზარდნენ“. ავტორი დავერწმუნომა, რომ ხალხი ადამიანთა ერთობლიობაა, ანუ მრავალი სუბიექტისაგან შედგება, ამიტომ ზმნასაც მრავლობითი რიცხვის ფორმა მიუსადაგა. სინამდვილეში კი, გრამატიკული თვალსაზრისით, „ხალხი“ მონოლითური, დაურღვეველი, ერთიანია (ეგრეთ ნოდებული კრებითი სახელი), ამიტომ იგი შემასმენლის მხოლოდობით ფორმას ითხოვს. გამოდის, რომ უნდა დაგვეწერა „ეს ხალხი სხვა ქვეყნებში გადაზარდა“ (არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც იმას, რომ ადგილის გარემოება აქ მრავლობითია „სხვა ქვეყნებში“).

კიდევ ნიმუში: „კანადაში ოთხმა თანამშრომელმა თავიანთი ყოფილი კოლეგის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს“. უნდა იყოს „სარჩელი შეიტანა“, იმიტომ, რომ „ოთხი თანამშრომელი“ ქართული გრამატიკის თვალსაზრისით ერთი სუბიექტია. ისინი რომ კონკრეტულად ყოფილიყვნენ ჩამოთვლილნი (ჯონმა, ტომმა, მარკმა და ისაკმა), მაშინ აუცილებელი იქნებოდა დაგვეწერა „შეიტანეს“.

მესამე ნიმუში: „მოკავშირეთა მხარეზე იბრძოდნენ 96 მილიონი სამხედრო“. აქაც შეცდომაა – უნდა იყოს „იბრძოდა“, იმიტომ, რომ ფორმალურად ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვში იგულისხმება: 96 მილიონი სამხედრო გრამატიკულად განუყოფელი მთელია. ასეა და ამას არაფერი ეშვებოდა, თუნდაც ტექსტში ასი მილიონი ან დოდეკალონი სამხედრო ყოფილიყო. ასეთია ქართული ენის მიდგომა. შესაძლოა სწორედ ამ „ქართული“ მიდგომის ბრალიცაა, რომ ჩვენ ვწერთ: „ერთი კაცი“, „ორი კაცი“, „სამი კაცი“ და ა.შ. და არა „ერთი კაცის“, „ორი კაცის“, „სამი კაცის“ და ა.შ. რუსული ენა სხვანაირად ნყვევს ამ საკითხს. მისთვის ერთი სამხედრო არის «один военный», ორი სამხედრო კი «два военных», ანუ ორი და ნებისმიერი მასზე მეტი რიცხვისთვის სახელი მრავლობით რიცხვში ექცევა. ამიტომ რუსი უფრონაღაზი დაწერდა: «На стороне союзников боролись 96 миллионов военных», ანუ ბოლო სიტყვას მრავლობით რიცხვში ჩასვამდა (ვინ იცის, ეგებ სწორედ რუსული გამოცემიდან თარგმნა გაზეთის მუშაკმა ზემოთხსენებული წინადადება და ამან შეაქცინა). ვერ დავიჩემებ, რომ „ქართული“ მიდგომა უკეთესია რუსულზე (ამ უკანასკნელის იდენტურია გერმანული და ინგლისური ენების მიდგომა), და საერთოდ, ყველა გრამატიკული წესის სამართლიანობის ანალიზი გონიერების პოზიციებიდან გაუმართლებელიცაა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართულ მეტყველებაში სწორედ ქართული ენის წესებს უნდა დავემორჩილოთ! ისე, რიგითი მონაფისაგან იქნებ არც გამკვირვებოდა ფრაზა „სამი ბიჭი მირბიან“, მაგრამ საინფორმაციო საშუალებებს მეტი მოეთხოვებათ!

▶▶ გაგრძელება იქნება

„სახელის სენაბითა...“



ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის განვითარება და განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის სხენებითა! – ეს ილია ჭავჭავაძემ ჩვენს ერთ დიდ წინაპარზე ბრძანა... დღევანდელ საქართველოში ასეთი ბედნიერება თემურ ჩხეიძეს არ გუნაღმერებია! ჩვენთან ყოფნით ვეღარ, მაგრამ „თავისი სახელის სხენებით“ თაობათა ხასიათს კვლავ განვითარების და განმტკიცების თემურ ჩხეიძე!

მისი ცხოვრება, სიტყვა, საქმე დიად მიზანს ემსახურებოდა ყოველთვის: ზნეობრივი და ინტელექტუალური საქართველოს გაძლიერებასა და განმტკიცებას... იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომლის ყველა საუბარი, ყველა გამოსვლა, ინტერვიუ, დიალოგი, კომენტარი თუ რეპლიკა ასე საინტერესო და მნიშვნელოვანი ყოფილიყო... ალბათ, სხვადასხვა ვითარებასა თუ შემთხვევაში მისგან თქმული შეგონებანი შეგროვდება, შეიკრიბება და იქცევა სახელმძღვანელოდ – ქართული სულის გადასარჩენად...

თემურ ჩხეიძესთან ყოველი შეხვედრა, მისი ყოველი თვალსაზრისი რამდენად ფასეული და მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს ჩვენთვის, ამის ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: დავით კლდიაშვილის შესახებ „შემთხვევით“ დასმულ კითხვაზე „შემთხვევით“ გაცემული პასუხს გაიხსენებ:

2019 წლის 28 ოქტომბერს მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო ბატონ თემურს. ვკითხე:

– ბატონო თემურ, ამას წინათ სატელევიზიო გადაცემაში „პო-

პლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ თქვენ საუბრობდით დავით კლდიაშვილის შესახებ. ეს მწერალი გამორჩეული მიყვარს, ბევრი რამ ნამიკითხავს მასზე, მაგრამ იმ დეტალებზე, რაზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, სხვაგან არ ყოფილა მსჯელობა: თქვენ დავით კლდიაშვილის დიდებულ ქართულზე საუბრობდით. ჩვეულებრივ, ამგვარად არ აფასებენ მის ნებას... ეს ჩემთვის იყო დიდი სიახლეც და მნიშვნელოვანი ფაქტიც... სხვაგვარი საინტერესო რამ ბრძანეთ... ყოველივე ეს მაძლევს უფლებას, ასეთი კითხვა დაგისვით:

მწერალმა დავით კლდიაშვილმა რა ასწავლა რეჟისორ თემურ ჩხეიძეს?

და დიდოსტატური პასუხი თემურ ჩხეიძისა:

– ყველაზე მეტად მან მასწავლა ნიუანსის, სრულიად შეუმჩნეველის, სასხვავაშორისოდ ნათქვამის აღმოჩენა, ნამოწვევა და ამითი მერე ბევრი შტრიხის შექმნა სპექტაკლში; იმ ერთი ფრაზით...

აი, ახლა გეტყვით, რას ვგულისხმობ... ბევრი რაღაც ნათქვამი რომ არ გამოვიდეს, „დარისპანის გასაჭირი“ იწყება ასე: მართა

და პელაგია არიან სცენაზე; მართა ეძახის პელაგიას, „ახლავე აქ მომიყვანე ჩემი ნათლული ნატალია, პელაგია ჩემო! ამ საღამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბიძაშვილის, ელუკიას შვილი, ხარაბაძეს რომ ჰყავს... ეგება ღმერთი შეგვენიოს და ჩემი ნატალიას ბედმა გაჭრას... იქნება, ჩქარა...“ პელაგია: „ოღონდ კი ერთი ქალიშვილი გამათხოვებინე და მერე მე ვიცი და...“ (რეჟისორმა პიესა ზეპირად იცის! – გ. გ.)... და არის ერთი უბედურება. ახლა უნდა წავიდეს პელაგია, მაგრამ... მწერალი გვანიშნებს, რომ შინ სამი ქალიშვილი ელოდება და, როგორც ჩანს, ეშინია სახლში მიბრუნებისა – ნატალიას ხომ უნდა უთხრას, იქ მოვა ერთი ყმანვილი კაცი, ეგებ, მოუხდეს თვალი შენი არსება და ეგებ რამე გვეშველოსო... ეშინია ამისი თქმა, იმიტომ რომ, ეტყობა, ერთი-ორჯერ მსგავსი რამ კრახით დამთავრდა... ეტყობა-თქო, ვამბობ (ხელით აჩვენებს – გ.გ.) „ნადი, პელაგია, ნადი, ნადი...“ პელაგია მობრუნდება და: „კაბა რომელი ჩავაცვა, შენ სინათლიან თვალეში რომელი მოუხდება, შავი, შენი ჭირი შემეყაროს, თუ...“ თვითონ ამოარჩევს ნატალიას, ნადი!... მობრუნდება მერე და: „პრიჩესკა გეიკეთოს თუ დეიპნას“ და, აი,

„მომაკვირებელი“ ფრაზა: „ბედად წუხელითა ვიქცევი...“ აი, ხომ შენდა?.. ხომ-ქარგია: ბედი რომ გეწინება ვაცხს და თვეს რომ დიბხმს!.. საოცარი!.. მასხუა... ჰოდა, ეგებ ამის შესატყვისი ნიუანსებს სპექტაკლში; ეს გაძლევს სტიმულს... აი, ამის აღმოჩენა და ასეთი რაღაცების დაფასება მასწავლა დავით კლდიაშვილმა...

ამ და მსგავს ანალიზს თაობათა პროფესიული დაოსტატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება... და რამდენი ასეთი „პასუხი“, „რეპლიკა“, „ფრაზა“ გაბნეული მის საუბრებში, ინტერვიუებში, დიალოგებში (გუშინ საღამოს „იმედზე“ გადაცემა „ავტოგრაფი“ აჩვენებს განმეორებით, თითქოსდა ამის დასტურად...)... ალბათ, ითავენ ვინმე და ასეთ გაფანტულ შეგონებებს – შედევრებს – შეკრებს... სწორედ ესეც შემატებს თემურ ჩხეიძის სულს სინათლეს და მის სახელს უკვდავებას...

და ეს ყოველივე ისევე ჩვენთვის, თაობებისათვის; იმისათვის, თემურ ჩხეიძის „მიხედვით და მისი მაგალითით რომ შევიძლოთ საკუთარი ხასიათის განვითარება და განმტკიცება.“

გიორგი ბოგოლაშვილი
7. 06. 2022

ლადო ასათიანზე წერა იოლიც არის და რთულიც. იოლი და სასიამოვნოა, ალბათ, იმიტომ, რომ პოეტის სულის ამონაშუქიდან ჯეჯილის სუნთქვასაც გრძნობს მკითხველი, ყანაში შერულ შავხალიან, სისხლისფერ ყაყაობებსაც უმზერს, ომბიანი, ვაჟკაცური შედახილიც ესმის.. რთულია იმიტომ, რომ აქა-იქ ლექსის ტაეპებში დაუმარცხებელი სენით გულდასერილი ჭაბუკი პოეტის ლანდი ირეკლება, დიდი სევდით შეფარული ინტონაციებიც ხშირად გაისმის.

ლადო ასათიანი, როგორც როსტომ ჩხეიძე იტყობა, კანთიელი ფიგურაა მეოცე საუკუნის ქართულ პოეტურ სივრცეში. ლადო ასათიანი ის პოეტური მოვლენაა, რომლის შესახებ ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ თავად პოეტისავე სიტყვები: ნიჭი ქმნის კულტურას. ეს ნიჭი კი პოეტისათვის ჯიშთან, მოდგმასთან არის გაიგივებული. იმ ჯიშთან, რომელიც არის მრავალსაუკუნოვანი, გმირული და ოდენ ქართული:

და მხოლოდ ჯიშში მიმაგრებს სტრიქონს, ჯიშში გმირული, ჯიშში ქართული.

სწორედ ეს ხალასი, ბუნებრივი ნიჭიერება მსჭვალავს ლადო ასათიანის მთელ შემოქმედებას, რომელიც, სამუხაროდ, მძიმე რეალობიდან გამომდინარე, რაოდენობრივად არცთუ დიდია. როგორც მურმან ლებანიძე თავის შესანიშნავ ნერილში წერს, „შეიძლება ვინმეს ლადო ასათიანის პოეზია კარგი რამ ეგონოს და არა ის განუმეორებელი მშვენიერება, რომლის შექმნა ერთეულების ხვედრია და რომლის მსგავსი თითებზე ჩამოსათვლელი თუ შექმნილა.“

პოეტის ფილოსოფიური მრწამსი საცნაურდება მისივე სიტყვებით: ვიშვი, ვიცხოვრე – ვითამაშე რა, მანვე დამშალა, ვინ აღმაშენა. ლადო ასათიანის აზრით, ცხოვრება თამაშია.

პოეტს მთელი სიმძაფრით აქვს შეგრძნებული ორი სამყაროს საზღვარზე დგომის ტკივილი, არსი სიკვდილ-სიცოცხლისა და ამიტომაც თავის „ჩანაწერებში“ აცხადებს: „ცხოვრება წარმართივით უნდა გიყვარდეს“. სწორედ ამ სისავსის სიჭარბით არის დაუნჯებული ლადო ასათიანის პოეტური სათქმელის თითოეული პსკარი.

პოეზია მისი ამქვეყნიური არსებობის წყაროსთვლია, მისივე ბედსწერად გარდაქმნილი: ვინ დამიბედა გ ზეპი პოეტის, ვინ გამამზადა საბედისწეროდ.

მხოლოდ ლექსია მისი ტკივილის და ვნების მომრევი. ლექსი მასში დავანებული მეორე „მეა“, უძლიერესი და თვით სიკვდილის დამმარცხებელი. ლექსი მისთვის ტიციანისებური განცდაა, თავად ლექსი ქმნის პოეტს და არა პოეტი ლექსს. ამ განცდით შთაგონებული პოეტი თავად პოეზიაა, ამიტომაც სრულიად ბუნებრივად, არა ქედმაღლურად გაისმის მისი მოწინებელი,

ლექსის ნიაღვრად მოვლენილი სისოხსლე

კრძალულებით ნათქვამი სიტყვები: მე მინდა თქვენთან დავიდგა სახლი და საუკუნოდ დავრჩე მარადის.

„ასათიანური“ – ასე უნდა პოეტის უახლოესმა მეგობარმა ალექსანდრე საჯიამ „სალალობოს“ თავდაპირველად. შედგომში ეს სათაური შეიცვალა, მაგრამ „ასათიანურმა“ შეიძინა უფრო ფართო და ღრმა მნიშვნელობა. იგი იქცა ლადო ასათიანის პოეტური ინდივიდუალობის ჩინებულ ტვიფარად, მისი მალაქმხატვრული პოეტური სამყაროს ექოდ.

ჩვენთვის საგანგებოდ საყურადღებოა ლადო ასათიანის პოეტური სახისმეტყველება. არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს, რომ ლადო ასათიანმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა ყაყაოს ხატი სიმბოლოდ დაღვრილი სისხლისა, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ – სიმბოლოდ მწუხარებისა დაღვრილი სისხლის გამო. აქვე შევნიშნავთ, რომ სისხლისა და მწუხარების გამოხატვის გარდა, ყაყაოს ხატი ქალის მშვენიერების სიმბოლოცაა მის პოეზიაში. არა მხოლოდ აღნიშნული ორიგინალური მხატვრული სახის შემქმნელია პოეტი. მის შემოქმედებას მსჭვალავს უმაღლესი ესთეტიზმი და სახე-ხატა მრავალფეროვნება. როგორც რევაზ სირაძე განმარტავს, სახე არის ის, რაც მტყველებს. ამ ნიშნით მდიდარია ლადო ასათიანის პოეტური სამყარო.

პოეტისათვის სამშობლოზე შემოწოლილი სევდა-ნაღველი დარდით გასიბუღულ ღრუბელთან ასოცირდება და „ნაცრისფერი ღრუბლის ძნები“ დაუფიქარ სახისმეტყველებად აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში. საქართველოს ცის ფერია გმირ წინაპართა მერნების ფერი და ხავსიან ქვის გალავანზე ჩათვლილი არნივები პოეტური სიზმარითიდან იმედიანი გამოღვიძების მომასწავებელი სახე-სიმბოლოა.

მშობლიური სოფლის – ბარდნალას – უთბილესი განცდაც ალიტერაციით, კეთილხმოვანებით შემოაქვს პოეტს და მას ბუღბუღლთა ნაამბორულად წარმოსახავს:

ბარდნაღვლების ბორანი, ვარდებიანი ბარდნარი ბუღბუღლთა ნაამბორალი.

მშვენიერი და ამაღლებული თანაბრად მონაცვლეობს ლადო ასათიანის პოეტური სიტყვის საუფლოში. ოქროსფერი შემოდგომის ბარაქა და სისავსე მართლაც ბაჯალ-ლოსფრად იფრქვევა შემდეგ სტრიქონებში: და უელვარებთ სავსე ტარობებს ნარინჯისფერი ოქროს კბილები.

პოეტს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ენა სულია ერისა. ერის სულიერების ნიშანსვეტი ყველაზე უკეთ სწორედ ენაში საცნაურდება, ხოლო პოეზია ერის კაზმული სიტყვიერების უზენაესი გამოვლინებაა. ლადო ასათიანის მი-

მართება მშობლიურ ქართულთან საკრალური მნიშვნელობისაა, მისთვის ქართული არის „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენა“. პოეტის განცდა ქართული ენისა ხმათა ხვედრებად აღიქმება. ენა-ხვედრი – ეს მხატვრული სახეც ლადო ასათიანის მშვენიერ მიგნებად გვესახება.

თუ ვაყასთვის „ნისლი ფიქრია მთებისა“, ლადო ასათიანის პოეტურ სახისმეტყველებაში მშობლიური ნისლი აწენილი ფაფარის ასოციაციას იწვევს.

ეს აწენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?

ლადო ასათიანისთვის ლექსები ნედლი სალამურებია, რაც, უდავოდ, ახალი მხატვრული ხატია ქართულ პოეტურ სახისმეტყველებაში.

სრულიად უბრალო, ემპირიული ყოფისთვის აუცილებელი ატრიბუტი – სარწყული – პოეტში უძვირფასეს სიყრმისეულ მოგონებებს აღძრავს. გაიხსენებთ პროფესორ მია ჯვალაშვილის სიტყვებს: „პოეტი სხვათაგან გამორჩეულია, რადგან მას ლეთისაგან ბოძებული აქვს ნიჭი, ჩვეულებრივ ყოფიან, ნაცნობ საგნებსა თუ მოვლენებში დაინახოს უხილავი, შენიშნოს სხვათათვის უჩვეულო კავშირები და ზედაპირზე უმშვენიერეს სახეებად ამოზიდოს.“ „ლაჟვარდისფერი სინათლის მიმომფინველი“ სარწყული ბავშვობასავით სანატრელი და დაუვინყარია. პოეტი აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის სიცოცხლით სავსე ჭურჭელს:

მისმა უზომო სილურჯემ გამიღო ზეცის კარები და ქვეყანაზე სიცოცხლე მომიზლო ლექსის მწკარებით.

ლექსში სარწყული – სრულიად ჩვეულებრივი და თითქოს არაფრით გამორჩეული საგანი – პოეტის მიერ პერსონიფიცირებულია. ლურჯი სარწყული ლადო ასათიანისთვის ისევე საკრალური მნიშვნელობისაა, როგორც გალაკტიონისათვის ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი „საფერფლე – მამის დანატოვარი.“ იგი ვიტალური ენერგიით დატვირთული მხატვრული ხატია, რომელიც ცოცხალი არსების მსგავსად, ორგანულად შემოდის ლექსის ქსოვილში და პოეტს სასიცოცხლო ძალისხმევით ალავსებს. ცისფერი სარწყული სიცოცხლის განზოგადებულ მხატვრულ სახედ გაიხარება.

საგანგებოდ აღსანიშნავია ლადო ასათიანის შემოქმედების ფერთამეტყველება. პოეტი თავის შინაგან განცდებს, გრძნობად სამყაროს, ფერებით ამინარსებს. ფერთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი მის ისეთ ლექსებში, როგორებიცაა: „ილიასადმი“, „ჩემი ქვეყნის ოქროყანავ“, „ფშავური ბალადა“, „სუმბული“, „ნადირობის შენდევ“ და სხვა.



პოეტის ფერთა პალიტრა მხატვრული ფერთა-დოვნების მოზაიკას ქმნის. აქ მონაცვლეობენ: ლურჯი, ცისფერი, რუხი, ლაჟვარდისფერი, ვარდისფერი, სისხლისფერი, ნაცრისფერი, თეთრი, შავი, მწვანე, ოქროსფერი, ნითელი, ყვავილი, ნალისფერი, ჩალისფერი... ფერთა გამა ეხმარება ავტორს, ზუსტად გადმოსცეს სათქმელი და მკითხველს განაცდევინოს გრძნობათა სიმძაფრე. ამ კუთხით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლექსები: „ილიასადმი“, „ჩემი ქვეყნის ოქროყანავ“.

ლადო ასათიანისათვის პოეზია იყო, თუ ნიკო სამადაშვილისებურად ვიტყვით, „ლექსები, ტანზე გამოწყარვი“, ხოლო პაოლოსებურად – „ლექსები, როგორც სისხლის ნვეთები“... ეს რემინისცენცია პირდაპირ თუ მეტაფორულად გამოხატავს ლადო ასათიანის, როგორც პოეტური მუზით სწეული შემოქმედის, შინაგან ნვასა და აღმაფრენას. ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე – წარმავალი, – ადრე წასული კაცის პოეზიაში გავლენულ ანეულს ზუსტად ასახავს ეს კატეგორიული იმპერატორი.

ლადო ასათიანმა საკუთრივ მისული, მკვეთრად ინდივიდუალური მხატვრული სამყარო შექმნა და თავისი ასათიანური ხმით გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ პოეტურ სიტყვიერებაში. როგორც თავად ამბობდა, ის წერდა „უბრალო და ცოცხალ ლექსებს“. მისი პოეტური ნაფიქრალითი დღემდე „დაფარულან საქართველოს მთები.“

ლადოს დამასხურებულად შეიძლება ვუწოდოთ ქართული ლექსის სინდისი და ერთგულეობა. 26 წლის ასაკში შეწყვეტილი პოეტის სიცოცხლე კვლავაც გრძელდება, გრძელდება მძლავრად, ჭაბუკურად, დაუბერებლად.

ლალი ურდულაშვილი

ზედაზენზე ასკლა

რაულ ჩილაჩავა

1975 წლის ადრე შემოდგომაზე ჩემ ახლად მიღებულ, თითქმის ცარიელ ბინაში მოულოდნელი ზარის ხმა გაისმა. კარი ფაციფუციტ გაგვალე და თვალს არ დავუჯერე: ზღორბლზე მიკოლა ბაჟანი იდგა.

ასეთი იგი ჯერ არ მენახა – ურთიერთობა ძირითადად საქმიან ვითარებაში გვიხდებოდა, როცა იგი მეტისმეტად საქმიანი და მკაცრი ჩანდა.

– მისამართი ხომ არ შეგეშალა? – იკითხა ბატონმა მიკოლამ და, სანამ რამეს ვეტყვოდი, უკვე ზარის ხმაზე გამოსულ მუღულეს ვარდების შესანიშნავი თაიგული მიაჩნდა.

– საღამო მშვიდობისა, ძალიან მოხარული ვარ, მობრძანდით! – სხაპასხუპით მივმართე და შემოსასვლელთან დაბნეულად ავნიშნა.

და აი, ცარიელი ოთახის ცენტრში სამზარეულოს მაგიდასთან ბანრებით შეკრულ წიგნებზე სხედან მიკოლა ბაჟანი და ივან დრაჩი მუღულეებითურთ. თვალსაჩინო ადგილას აწყვია საჩუქრები ახალმოსახლეთათვის, პანანინა სირჩებიდან კი ოქროსფრად გამოკრთის კონიაკი „გრემი“. ესეც საჩუქარია, რომელიც განსაკუთრებული სიამაყით გადმოძეცა თავად ბატონმა მიკოლამ.

დიდი მსმელი არც ერთი არა ვართ, მაგრამ, ტრადიციისამებრ, რამდენიმე სადღეგრძელო აუცილებლად უნდა ითქვას. დაბნეულობას ხანდახან ვძლევ და იწყება ძალდაუტანებელი საუბარი. განსაკუთრებით ბატონი მიკოლა არ ცხრება: იხსენებს საკუთარ ახალგაზრდობას, საქართველოს, ძვირფას მეგობრებს. მე მესმის, რომ მისი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჩემდამი სწორედ მათი სიყვარულითაა ნაკარნახევი. საქართველო მისი ღვთაებაა, მაგრამ წელთა უღმობელი ტვირთი და სხეულში ჩაბუდებული მძიმე სენი საშუალებას არ აძლევს, ძველებური შემართებით გადაეცლოს ლურჯ კავკასიონს; გადაიკარგოს სადღაც ფშავ-ხევსურეთის ჭიუხებში თუ ვარძიის მინისქვეშა დარბაზებში; თმოგვის გზებით ერთხელ კიდევ მოუახლოვდეს რუსთაველის პირველსაწყისებს ან კიდევ სამეგრელოს ჭალისპირებით იმგზავროს უპირველესი მეგობრის სიმონ ჩიქოვანის მამისეულ სახლამდე.

მე სიმონის კუთხიდან ვარ და ეს, მგონი, კიდევ უფრო ზრდის მის სიმპათიას ახალგაზრდა ქართველისადმი, რომელიც სრულიად ყმანვილი ჩამოვიდა კიევში და თავისი ბედი უკრაინულ ლიტერატურას დაუკავშირა.

ამას წინათ მან შეიტყყო, რომ, შვიდ წელწინააღმდეგ მეთია, ჩემი ოჯახი უსახლკაროა და უმად აფრინა სადგურ-სტაციო წერილი მაღალ ინსტანციებში. ერთი თვეც არ გასულიყო, რომ აღმასკომში ორდერის მისაღებად გამოიმძახეს.

მე მაშინვე ტელეფონს ვეცი: – ბატონო მიკოლა, ბინა მივიღე! – ეს შეუძლებელია! მართალს მეუბნებით?

მე მისამართი დაეუსახლე.

– გამოდის, ბებერ ბაჟანს ჯერ კიდევ პატივს სცემენ! – ირონიულად თქვა და გულწრფელად მომილოცა. და აი, ბინაში, რომელსაც ბაჟანის ჩაურევლად, ვინ იცის, როდის მივიღებდი, ზის თვითონ და ბავშვივით ხარობს. მისი სახელი რა ხანია დიდებითაა მოსილი, მაგრამ ეს პატარა გამარჯვება მისთვის, ჩანს, უჩვეულოდ ძვირფასია. მის სახეს ხანდახან სცილდება ქრესტიანობითი საბურველი, მოჩვენებითი სიმკაცრე და მოუკარებელი კაცის იერი...

იმ დაუფინყარ საღამოს მე აღმოვაჩინე ჩემთვის უცნობი მიკოლა ბაჟანი – ირონიული და ენამოსწრებული, მგრძობიარე და კეთილი, ოდნავ სენტიმენტალურიც კი. შესაძლოა, სწორედ მაშინ ჩაისახა პოეტის საქართველოსადმი მიძღვნილი ამაღლებული მოთხრობების პირველი სტრიქონები, რომლებიც მერე მისი „ფიქრები და მოგონებების“ მშვენიერად იქცა.

როგორც კი დაამთავრებდა ლექსს თუ მოგონებას საქართველოზე, ბატონი მიკოლა დამიძახებდა და კოხტად ჩასწორებულ დედანა გადმოცემდა სათარგმნად. ასე იშვა მისი წიგნი „საქართველოს გზებზე“, რომელიც 1979 წელს დასტამბა გამოცემლობა „ხელოვნება“.

(უძვირფასესი რელიკვიებივით ვინახავ მიკოლა ბაჟანის ავტოგრაფებიან წიგნებს, აგრეთვე წერილებსა და ლია ბარათებს, რომლებსაც



მიკოლა ბაჟანი და ნატო ჯანაძე-ოთარ ჭითანავას კოლექციიდან

იგი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიგზავნიდა. ყოველთვის მაღლიერებით გავიხსენებ მხარდაჭერისა და ნდობის სიტყვებს, რომლებიც გამოთქმულია მწერალთა კავშირში წარსადაგენად მოცემულ მის რეკომენდაციებში).

ჩვენი ეროვნული კულტურა სიჭაბუკიდანვე იქცა მიკოლა ბაჟანის გატაცების, ღრმად შესწავლისა და პროპაგანდის საგნად. რესპუბლიკის გარეთ ჩვენ არ გვცვდა ქართული პოეზიის უკეთესი მცოდნე და მთარგმნელი, უანგარო და ერთგული მეგობარი. მას სამართლიანად ჰქონდა მინიჭებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდება.

თავის ცხოვრებაში ერთ-ერთ უდიდეს მოვლენად მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რაც მოითხოვდა არა მარტო უსათუთეს ფილოლოგიურ შრომას, არამედ უჩვეულო ოსტატობასაც.

დანერვიდან თითქმის ორი საკუნის შემდეგ დაბრუნა მიკოლა ბაჟანმა უკრაინაში დავით გურამიშვილის ლექსებისა და პოემების კრებული „დავითიანი“. ვამბობ, დაბრუნა-მეთქი, რადგან, როგორც ცნობილია, კრებული სწორედ უკრაინაში, მის მყოფდრო მირგოროდულ ჭერქვეშ შეიქმნა.

ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე ავტორთა თარგმნისას მიკოლა ბაჟანს არაერთგზის მოუხდა შემოქმედებითი გარდასახვა. ამ განსაკუთრებული ნიჭის გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა უკრაინელ მკითხველთან სრულყოფილად მიტანა ისეთი შედეგებისა, როგორებიც არის „ტანო ტატანი“, „მუხამბანი“, „მერანი“, „სულიკო“, „ყივჩაღის პეიმანი“, „პალესტინა, პალესტინა“.

უკრაინულ პოეტს საქართველოსთან საკმაო ხნის ურთიერთობა აკავშირებდა, როცა მასზე პირველი ლექსები გამოაქვეყნა (1936). მკითხველი მათ იცნობს „ქართული ლექსების“ სახელწოდებით. ოცდაათი წლის შემდეგ პოეტური ნოველების წიგნი „ოთხი მოთხრობა იმეზე“, რომელშიც შევიდა რილკეს თემებზე შექმნილი ვარიაციები, მიკოლა

ბაჟანი კვლავ მიუბრუნდა „ქართულ ლექსებს“.

„მეორე ვარიაციის სიუჟეტი სახალხო ხელოვნების სიკვდილია... სახელგანთქმული ნიკო ფიროსმანიშვილის ბიოგრაფია იქცა მის საფუძვლად,“ – წერს პოეტი კრებულის წინასიტყვაობაში.

მიკოლა ბაჟანის ქართულ თემებზე შექმნილი ლექსების ღირსება, უპირველესად, სინამდვილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართულ“ აღქმაში მდგომარეობს, რაც, ცხადია, ერის ხასიათის, ისტორიის, კულტურის, ტრადიციების ცოდნის შედეგია.

ჩემი დაკვირვებით, მიკოლა ბაჟანის თარგმანები ორი ენობრივ-კულტურული სტიქიის თავისებური შერევაა, რადგან მან შეძლო ქართულ შინაარსსა და უკრაინული ენის მეოხებით შექმნილ ფორმას შორის მოსალოდნელი წინააღმდეგობის ნეიტრალიზება, არა მარტო დედანთა შინაარსის, არამედ მათი მხატვრული თავისებურებების შენარჩუნებაც. მიკოლა ბაჟანის თარგმანები წარმოადგენს ქართულ-უკრაინულ კულტურათა სინთეზს, მათში მეტწილად დაძლეულია განსხვავება ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის, გამოვლენილია მხატვრული თარგმანის ამბივალენტური ბუნება.

ვიყოთ გულახდილნი: მსგავსი გაქანების ყველა პოეტი როდი შეაღწევდა ამდენ ნიჭს, დროსა და ძალ-ღონეს თარგმანს, თუნდაც ეს „ვეფხისტყაოსნის“ და „დავითიანის“ თარგმანები ყოფილიყო. მან კი შეაღწია, შეაღწია ალაღად, პატიოსნად, კეთილშობილურად.

მიკოლა ბაჟანის მთარგმნელობითი საქმიანობის წყალობით უკრაინული ლიტერატურა, რომელიც ეყრდნობოდა საუკუნეობით გამოუმუშავებულ ეროვნულ ტრადიციებს, აქტიურად იყენებდა ქართული კლასიკური პოეზიის მხატვრულ გამოც-

დევად მან მიაკვლია მოსახლეობის აღწერის მამინდელ სიებს, რომლებიც დანაც ცნობილი გახდა, რომ დავით გურამიშვილს მუდმივად უცხოვრია მირგოროდში, მამამის რქმეფია გიორგი, ჰყოლია მუღულე ტატიანა ვასილის ასული.

აღმოჩენით ფრთაშესხულმა კოსარიკმა კვლასაძიებო „რეიდი“ ქალაქ ლუბნის არქივში განაგრძო. მირგოროდის მიძინების ტაძრის ერთ-ერთი სააღაპო ნიგნის გაყვითლებულ ფურცელზე მან ამოიკითხა, რომ დავით გურამიშვილი გარდაცვლილა 1792 წლის 1 აგვისტოს.

შემდგომი მოვლენები ცნობილია: დმიტრო კოსარიკის მიერ მოპოვებულ საბუთებზე დაყრდნობით ოფიციალურად მოინიშნა დავითის საფლავი, რომელზეც აღიმართა სტელა მისი ბარელიეფითურთ. მირგოროდს ეწვია ქართველ მწერალთა დელეგაცია, გაიმართა საზეიმო მიტინგი და ეს ყველაფერი მიკოლა ბაჟანის ჯერ კიდევ სახკომსაბჭოში მუშაობის დროს მოხდა.

იქიდან წამოსვლის შემდეგ სიმონ ჩიქოვანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათში იგი წერს: „სიმონ, მე შენ გითხარი, თუ ყველაფერი კარგად გამოიშვა, ჩამოვალ საქართველოში, რათა გურამიშვილის პწკარეები გადავამოწმო, რისი თარგმნაა საქირო და რისი არა. ერთი სიტყვით, წავიშუშო ბარამიქსთან, იორდანიშვილთან და ნადირაქსთან ერთად-მეთქი.“ შემდეგ ბაჟანი ინტერესდება, შეუძლია თუ არა სიმონს, მოუძებნოს სადმე თბილისთან ახლოს ოთახი, რათა იქ თარგმანზე იმუშაოს.

თუ როგორ თარგმნიდა საქართველოში „დავითიანს“, პოეტმა განსაკუთრებული მღელვარებითა და შინაგანი თრთოლით აღწერა თავის ცნობილ ლექსში „გურამიშვილის თარგმნისას“, რომელიც ასე მთავრდება:



მარჯვნიდან მარცხნივ: რაულ ჩილაჩავა და უკრაინელი პოეტები სავა გოლოვანისკი, მიკოლა ბაჟანი, ივან დრაჩი, პლატონ ვირონოვო

დიღებას, იფართოვებდა საკუთარ გამომსახველობით შესაძლებლობებს.

უკრაინის მწერალთა მეორე ყრილობაზე ალექსანდრ კორნიეჩუკი საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდა მიკოლა ბაჟანს გაუმართლებლად ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის გამო, სინამდვილეში კი ეს „პაუზა“ გურამიშვილის თარგმანზე მუშაობით იყო შევსებული.

აქ უპრაინა ვიკითხოთ: თვითონ ბაჟანი რამდენად იცნობდა დავით გურამიშვილის პოეზიას, როცა ხელს უკიდებდა მის თარგმნას.

საკავშირო მწერალთა კავშირის რუსთაველის პლენუმზე თბილისში მიკოლა ბაჟანმა განაცხადა: „ჩვენ ვიცით საქართველოს მეთორე დიდი პოეტის დავით გურამიშვილის სახელიც, რომელიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა უკრაინის მიწაზე. უკრაინელმა საბჭოთა მწერლებმა დაიწყეს მასალების მოძიება გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების შესახებ. ჩვენ უკვე გვაქვს ამ ძიების პირველი ნაყოფი.“

მიკოლა ბაჟანს მხედველობაში ჰქონდა ლიტერატურისმცოდნისა და მკვლევრის დმიტრო კოსარიკის წარმატება: პოლტავის სახელმწიფო არქივში მოუღლეული მუშაობის შე-

საქართველოში დამატებითა შეიქმნა ვერეთ ნოდუელი საკომსაბჭოეცო პირები. მეც, როგორც ნაგებული, პწკარეები ჩიქოვანი.

– აფსუს, ჩვენს ლიტერატურას რომ ახლა ასეთი „მოთამაშენი“ არა ჰყავს – შევნიშნე მე.

„მოთამაშეებად“ არც ჩვენ დავებედებულვართ. თამაში ერთგვარი იმპულსი, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, დომინგი გამოდგა პოეტური სუნთქვის გასახანგრძლივებლად. ახლა ვხედავ, რამხელა ცოდვას ვიტვირთავდი, სიმონთან პირშავად რომ დავერჩენილიყავი.

მიკოლა ბაჟანი „დავითიანის“ გამოცემითაც არ დაკმაყოფილდა. მას უკვე ელანდებოდა მირგოროდის მიწაზე დავით გურამიშვილის მუზეუმი, მუზეუმის წინ კი პოეტის ძეგლი („ჩემთვის რაიმე სერიოზულს არ ვაკეთებ, ვზრუნავ დავით გურამიშვილის მუზეუმზე...“ – წერს მიკოლა ბაჟანი 1969 წლის 30 მარტს პავლე ანტოკოლსკის).

როცა იმავე წლის მაისში ქართველი სტუმრები მირგოროდში წავყვანეს, მათ იქ დახვდათ დავითის კოპია მუზეუმი, რომლის წინ მწუხარე, მაგრამ ვაუკაცური სახის პოეტის ძეგლი აღმართათ. მოქანდაკეებს ანდრეი ნიმენკოსა და მიკოლა ოზეზიუსს არქიტექტორ ვალენტინ ჟიგულინთან ერთად პოეტის თავისებური სკულპტურული სახე შემოეთავაზებინათ. აკი, ჩვენამდე პოეტის არც ერთ პორტრეტს არ მოუღწევია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „დავითიანის“ ხელნაწერზე მისატულ ავტოშარფს...

– ახლა კი შემიძლია ვიფიქრო, რომ დავით გურამიშვილის სახელის უკვდავსაყოფად ყველაფერი გავაკეთე, – უთხრა იმ დღეს მიკოლა ბაჟანმა ალექსანდრე ბარამიქსს, რომელიც ოცი წლის შემდეგ, როგორც დეკადის მონაწილე, კვლავ ეწვია მირგოროდს.

აღმოჩნდა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ იყო... გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისთვის ორი გამოცემლობის – „ხელოვნებისა“ და „მისტეტვოს“ (რაც უკრაინულად ასევე „ხელოვნებას“ ნიშნავს) ერთობლივი ძალისხმევით „დავითიანი“ გამოიცა სამ – ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. წიგნი ფოტოხელოვან ევგენი დერლემენკოს ჩინებული სლაიდებით იყო გაფორმებული.

იუბილესთვის მიკოლა ბაჟანი განსაკუთრებით ემზადებოდა. მე შემომრჩა 1980 წლის 17 ივნისს ჩატარებული საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც, როგორც მისი მდივანი, თვითონ ვწერდი. სხდომას ესწრებოდნენ უკრაინელი მწერლები ვიტალი კოროტიჩი, ივან დრაჩი, იური ზბანაცკი, ოლექსა ნოვიციკი, სტეფანე კრიფანოვსკი, ანატოლი მოროზი (დმერთო ჩემო, დღეს მათგან კოროტიჩისა და ჩემ გარდა არავინაა ცოცხალი!). თავმჯდომარეობდა მიკოლა ბაჟანი. მოიწონეს გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა ჩატარებულიყო მწერალთა კავშირისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი საზეიმო სხდომა. ასევე საიუბილეო საღამოები უნდა ჩატარებინათ მწერალთა კავშირის საოლქო განყოფილებებს, ხოლო მოქანდაკე ანდრეი ნიმენკოს შეექმნა პოეტის სამახსოვრო მედალი...

კომისიის მიერ დასახული ეს და სხვა ღონისძიებები დროულად შესრულდა.

მიკოლა ბაჟანმა იცოდა, რომ ექიმები მას ნებას არ დართავდნენ გურამიშვილის დღეებში მონაწილეობის მისაღებად თბილისში გამგზავრებაზე, თუმცა გულის სიღრმეში რაღაც სასწაულის იმედი, ალბათ,

მანცვ ჰქონდა: ვინ იცის, იქნებ ბედმა გამომიძოსო.

სასწაული, სამწუხაროდ, არ მოხდა და უკრაინის დელეგაცია პ. ზაგრებელის, დ. კოსარიკის, ი. დრახის, ვ. კოროტიჩის, ი. ნოვიციკის, ა. ნიმენკოსა და ამ სტრუქტურების ავტორის შემადგენლობით თბილისში უბაჟანოდ გაფრინდა...

იმ დღეებში მას სამოცდაათქვამეტი წელი უსრულდებოდა და მასპინძლებს სრული საფუძველი ჰქონდათ, „დავითიანის“ ავტორი ჩინებულ მთარგმნელთან ერთად ესხნებინათ. როცა საიუბილეო დღესასწაულმა უკრაინის მინაზე გადმოიანაცვლა და უკვე ქართველი მწერლები ეწვივნენ კიევს, მიკოლა ბაჟანი კვლავ აღმოჩნდა მადლიერი სტუმარ-მასპინძლების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში.

რუსთაველის პარალელურად დასაბეჭდად ამზადდება აკაკი წერეთლისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებს, „დავითიანის“ თარგმნისას ადგენდა სანდრო შანშიაშვილის „რჩეულს“, ახალი თარგმანებით ავსებდა აკაკის „რჩეულს“ გამოცემას, თარგმნიდა სიმონ ჩიქოვანის პოემას „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მიკოლა ბაჟანმა „ქართველი ერის პოეზიის“ ორტომიანი ანთოლოგიის გამოცემა გადაწყვიტა.

ანთოლოგიაზე მუშაობა სამ წელიწადს გრძელდებოდა. 1961 წლის აპრილში ხელი მოეწერა და სულ მალე მკითხველამდე მივიდა ორმოცდაათ თაბახამდე საერთო მოცულობის ორი ტომი, რომელსაც ერთვოდა ნინასიტყვაობა და ბიო-ბიბლიოგრაფიული მონაცემები ავტორთა შესახებ. მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი დაანვათ, რა თქმა უნდა, ბაჟანსა და სიმონ ჩიქოვანს, რომელიც უკრაინელმა თანამოგალემ მამინვე შეაბა ორტომეულის მომზადების საპატიო უღელში.

ლომის წილი თარგმანებისათვის მიკოლა ბაჟანს ერგო: ანთოლოგიის 74 ავტორიდან 26 მისი თარგმნილი იყო. რუსთაველისა და გურამიშვილის გარდა, მთლიანად მას ეკუთვნოდა ბესიკის, ვაჟა-ფშაველას, ტიცინა ტაბიძის, კარლო კალაძის ლექსთა თარგმანები.

ამასობაში მიკოლა ბაჟანს ახალი მაცდური იდეა გასჩენდა, რომელსაც, როგორც ყოველთვის, ისევ სიმონ ჩიქოვანს უზიარებდა.

„მე აქ ახალგაზრდა პოეტებთან ერთად ჩავიფიქრე თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიის მსგავსი რაღაცის გაკეთება (მაშინ სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა. ახალგაზრდული ქართული პოეზიის ანთოლოგია „მზის მტევანი“ გამოვიდა 1970 წელს გამოცემლობა „მოლოდინი“, მომზადებული უკვე ბაჟანის მონაწილეობის მიერ, მაგრამ თავად მისი მონაწილეობის გარეშე).

მიკოლა ბაჟანს მხედველობა ჰყავდა დ. პავლიჩკო, ი. დრახი, ვ. კოროტიჩი და სხვები, რომლებიც თამამად არღვევდნენ ძველ სტერეოტიპებს და ამკვიდრებდნენ ახალ პოეტურ აზროვნებას.

ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი მხარდაჭერა მიკოლა ბაჟანის შინაგანი მოთხოვნილება იყო. ამიტომაც ნაიყვანა მან ზემოთ ჩამოთვლილი პოეტები საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადზე.

დეკადი, რომელიც საქართველოში 1964 წლის 2-დან 12 ოქტომბრამდე ჩატარდა, მიკოლა ბაჟანის მე-60 წლის იუბილეს დაემთხვა. ეს იყო ქართული მწერლობის ჯერ კიდევ ბედნიერი ხანა, როცა მის ცისკიდურზე კამკამედ კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლა ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვა-

ნის (თუმცა თვალისჩინი წარმეგია, ინტენსიურად მუშაობს) ვარსკვლავები.

შემდგომში მიკოლა ბაჟანი იხსენებდა, რომ მსგავსი დაბადების დღე არც მანამდე და არც შემდეგ არ ჰქონია. დეკადი მისთვის იყო სიჭაბუკეში მოგზაურობა, „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ თარგმნის წლებში დაბრუნება...

მოგონებები... მოგონებები...

ისინი არ ტოვებდნენ პოეტს მთელი იმ ათი დღის განმავლობაში. ამჯერად მას უკვე არ ახლდა სიმონი - მიიმე სენით მზერანართმეულს აღარ შეეძლო, კვლავ გაეულო მღელვარე და ამავდროულად ბედნიერი სიჭაბუკის ბილიკებით.

სურამის შემდეგ რიკოთის უღელტეხილის გადავლით სტუმარ-მასპინძლები დასავლეთ საქართველოსკენ მიემართებან.

აჰა, დაბა ხარაგოული! როცა დაბეზულების შედეგად მარიკას ძმა ზურაბი რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან დაითხოვეს, იგი აქ მოეწყო ეკონომისტად და გულთადად მასპინძლობდა სიმონსა და მის უკრაინელ მეგობარს. არაერთი დღე უმუშავიათ მათ აქ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე - ზურაბი სამსახურში რომ წავიდოდა, პოეტები თარგმანს ჩაუსხდებოდნენ. სწორედ მაშინ შემოიარა ბაჟანმა ხარაგოულის შემოგარენი. უბისის ეკლესიაში იგი განაცვიფრა დამიანეს ფრესკებმა, რომლებიც, მისი თქმით, გვიბილავენ ბრძნული და განსაცვიფრებელი განზოგადებით. პოეტი იგონებდა კეთილ და გულღია ხარაგოულელებს, ახლად და მოკრძალებულ ზურაბს, რომელიც ოცდაჩვიდმეტის უღმობელობა ტალღამ მაინც არ დაინდო. ობლად დარჩენილი ზურაბის ვაჟი ნიკა უშვილო მარიკა და სიმონ ჩიქოვანების ოჯახის წევრი გახდა.

უამრავი ხილვა გაუცოცხლა მიკოლა ბაჟანს ბებერ ქუთაისში ჩასვლამ. 1940 წლის ზაფხულში, აკაკი წერეთლის მუზეუმის იუბილეზე, აია-ქალაქში უკრაინელი პოეტი დიდი მგოსნის თარგმანთა კრებულით ჩავიდა. მაშინ იგი განაცვიფრა ოდესლაც გრანდიოზული ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებმა, რომლის ყოველ ლოდსა და ჩუქურთმას განსაკუთრებულად ელოლიავებოდა. და ახლაც სულს უთბობდა ან უკვე შორეულ და ჩაქროლილ, მაგრამ საუკუნოდ ძვირფასი „იმერეთის სხიფენილ დღეთა ათინათი“. ასეთადაც აღიბეჭდა იგი მის შესანიშნავ ლექსში „ქუთაისის ნანგრევებზე“...

ასე მისხალ-მისხალ ცოცხლდებოდა პოეტის თვალწინ მისი შემოქმედებისგან განუყოფელი ბიოგრაფიის ფურცლები.

მე მასსოვს 1964 წლის 8 ოქტომბრის მზიანი დღე, როცა დეკადის ემბლემა მანქანათა კორტეჟი ჩემს მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში შემოვიდა. მაშინ მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი და, როგორც დამწყები პოეტი, ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ ზემის მომზადებასა და მსვლელობას, რომელსაც რესპუბლიკის პრესა ფართოდ აშუქებდა. სულ რაღაც ერთ კვირაში „მოვიწიე“ საამომოვლენოდ გამოცემული უკრაინელ ავტორთა პოეზიისა და პროზის 24 მცირე კრებული, რომელთა შორის, ცხადია, მიკოლა ბაჟანის კრებულიც იყო.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ხალხის ტვა არაა. სახელდახელოდ განყოფილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიან გამომსვლელები: კითხულობენ ქართულ და უკრაინულ ლექსებს, დამსწრეთ მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე... მერე სიტყვას იღებს მიკოლა ბაჟანი. მას მუქი კოსტუმი აცვია

და მზეზე უბრწყინავს მოოქრული თუ ოქროს სათვალე. იგი თითქოს რაღაცას ბუბუნებს, სიტყვები ვერ გამორჩევია, მაგრამ აი, იგი ლექსზე გადადის და მე მამინვე ცნობ მშობლიური შაირის რიტმს.

მაშინ, აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ სულ რაღაც სამ წელიწადში ბედი კიევში ჩამიყვანდა და მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობის ბედნიერებას მარჯულებდა!

კიევში გამოვიდა ებრაული წარმოშობის უკრაინელი მწერლის გრიგორი პლოტკინის სამოგზაურო ჩანაწერთა ნიგნი, რომელშიც დაბეჭდილია თავი „რუსთაველის საფლავი“. თელ-ავივში ავტორს გაუგია, რომ იერუსალიმში მარხია დიდი ქართველი პოეტი. მისთვის სენსაციური სიახლით შთაგონებულ პლოტკინს საელჩოსთვის მიუმართავს, სადაც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წამომადგენლობასთან და-

სწორედ „პალესტინა, პალესტინას“ უკრაინული თარგმანის გამოსვლის წელს.

უნდა ითქვას, რომ 70-იანი წლების საქართველოშიც შეინიშნებოდა მიკოლა ბაჟანის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი ინტერესი როგორც უფროსი, ასევე უმცროსი თაობისში, გამოკვლევაში, თარგმანსა თუ მიძღვნაში. განსაკუთრებით ააღელვებდა მკითხველები და თვით ბაჟანიც ირაკლი აბაშიძის ლექსმა „ისევ გვეძახის ალაზანი“.

ალავერდობის დღესასწაულის ნოსტალგიურ-ქიმიური ხილვა... ღამე ალაზნის ველზე გვიღვივით ყელნაგრძელებული ტაძრის გაღვანთან... სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველები სუფრებს შლიან, სადაც ცნობილი სტუმრებიც სხედან. აგერ, სწორუპოვარმა თამადამ პაოლო იაშვილმა ჯიხვის ყანწი აწია და „ელავს ჰაერში სიტყვა მისი, როგორც ნახატი,“ შორიხლო კი



უკრაინის ტელევიზიის საახალწლო ეთერში გამოსვლის შემდეგ. 1977. სხედან: მიკოლა ბაჟანი და რაულ ჩილაჩავა. დგანან: უკრაინის ტელევიზიის დიქტორი თამარა ჩალა, უკრაინის რადიოსა და ტელევიზიის პროგრამების დირექტორი ივან მაშჩენკო, საქართველოს ტელევიზიის რეჟისორი იური მიმინოშვილი.

კავშირება ურჩევიათ. მისი დახმარებით ჩვენი ტურისტები მოხვედრილან მონასტრის გუმბათქვეშ, დაუთვალთვრებიათ ოდესლაც რესტავრირებული, ახლა კი გახუნებული ფრესკები, მუსლი მოუყრიათ პოეტის ნეშტთან, რომელიც, გადმოცემით, მარჯვენა სვეტთან განისვენებს.

კიევში დაბრუნებულ გრიგორი პლოტკინს ეს ამბავი მამინვე მოუყვლია მიკოლა ბაჟანისთვის, ამ უკანასკნელს კი, რომელმაც იცოდა თავისი ქართველი მეგობრის, ირაკლი აბაშიძის მისწრაფება, გადაუწყვეტია, დაუყოვნებლივ ემოქმედა: უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ალექსანდრე პალანდინის მხარდაჭერით დაკავშირება შესაბამის დანესებულებებს, რათა მათ ჯვრის მონასტრის ფრესკები გაეშადებინათ.

ბატონი ირაკლი უსაზღვროდ მადლიერი იყო არა მარტო იერუსალიმური ფრესკების რეპროდუქციებისთვის, არამედ იქ გამგზავრების შესაძლებლობისთვისაც.

ამრიგად, მიკოლა ბაჟანმა გარკვეული წვლილი შეიტანა რუსთაველის კვლავ დამდგარი ექსპედიციის წარმატებაში, რამაც ირაკლი აბაშიძეს თავისი შესანიშნავი ციკლი შთააგონა. სხვათა შორის, ამ ციკლის თარგმანი უკრაინელი პოეტის შემოქმედებაში ქართული თემის თავისებურ გაგრძელებადაც იქცა. დიას, შემოქმედებაში, რადგან მისი ორიგინალური ლექსები და თარგმანები საოცარი ლოგიკურობით უკავშირდება ერთმანეთს.

მე, მაგალითად, არ მეეჭვება მტკიცე კავშირი ირაკლი აბაშიძის სხენებულ ნაწარმებსა და მიკოლა ბაჟანის პოეტურ ნოველას შორის, რომელსაც ჰქვია „სიკვდილი ნიკო ფიროსმანიშვილისა“ და დაწერილია

უკვდავი დავით გურამიშვილის სახელითაა გასწავლილი.

1979 წლის 23 ოქტომბერს ირაკლი აბაშიძეს 70 წელი უსრულდებოდა. მიკოლა ბაჟანი მის იუბილეზე საპატიო სტუმარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო თბილისში გაფრენაზე ფიქრიც ზედმეტი გამოდგა.

როცა ბატონმა მიკოლამ გაიგო, რომ ბატონ ირაკლისთან მეცა ვარ მინვეული, მთხოვა, „ზედაზენზე ასვლა“ მეთარგმნა. მე ეს თხოვნა სიამოვნებით შევასრულე და, უფრო მეტიც, როგორც ავტორის თავისებური მილოცვა, თბილისის ფილარმონიაში ირაკლი აბაშიძის საიუბილეო საღამოზე წავიკითხე.

ცნობილია, რომ ავტორი, როგორი სახელგანთქმულიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის მღელვარებით ელოდება წიგნის სასიგნალო ცალს. მიკოლა ბაჟანმა თავის სიცოცხლეში ასზე მეტი წიგნი გამოსცა და ასეთ სულიერ მღელვარებას თითქოს უნდა შეჩვეოდა, მაგრამ თბილისიდან გამოგზავნილმა ბანდეროლმა, რომელშიც მისი ლექსების კრებული „გზა“ იღო (შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი პროფესორი ოთარ ბაქანიძე), ძალიან ააფორიაქა.

პოეტმა საავადმყოფოდან დამირეკა: თქვენი თანამემამულეებისგან უძვირფასესი საჩუქარი მივიღე - საკუთარი „რჩეული!“ უკვე აღარც ავადა ვარ, აღარც რამე მტკივა, ხვალვე ვენერები აქედან, უკეთეს წამალს ვილა მომცემსო.

„სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“, - წერს შოთა რუსთაველი და ვის, თუ არა მის უბადლო მთარგმნელს, უნდა სცოდნოდეს ეს შემთარგმნება. და ისიც ელოდა, ოღონდ ვაჟაკურად, უშიშრად. თავისი ლიტერატურული თაობიდან თითქმის მარტოდ დარჩენილი რანდულად ებრძოდა სენს და განაგრძობდა მუშაობას.

ფაშისტებისგან კიევის გათავისუფლების მეორმოცე წლისთავზე უკრაინის ტელევიზიამ მიკოლა ბაჟანის ლექსთა ციკლის „კიევიური ეტრედების“ მიხედვით გადაცემა მოწყო. მაშინ პირველად ვნახე არგანს დაყრდნობილი ბატონი მიკოლა. იგი წელი, დალილი ნაბიჯით მოუყვებოდა ნაბლის ხეივანს, ხოლო კადრს მიღმა ისმოდა მისი სევდიანი, ყრუ ხმა.


სულ მალე უკრაინის მწერალთა კავშირის პლენუმზე შევხვდით ერთმანეთს. მესმოდა თუ როგორ უხდოდა იგი მადლობას ლოველ პროზაიკოსს რომან ივანოვიჩს მისი წიგნისთვის „მოთხე განზომილება“, აკი მასში საუბარია ტარას შევჩენკოს მეგობარ მიკოლა გულაკზე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ პირველ მკვლევარსა და მთარგმნელზე.

ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ ბოლო წიგნი, რომელიც მიკოლა ბაჟანმა თავის სიცოცხლეში გამოსცა, „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი იყო.

ათი დღის შემდეგ, 1983 წლის 23 ნოემბერს (ბედის ირონიით - ირაკლის დაბადების დღეს!) უკრაინის მინისტრთა საბჭოს კლუბში, სადაც პლენუმი ჩატარდა, დედაქალაქი თავის გამოჩენილ პოეტს ეთხოვებოდა. იდგა ნაადრევი ზამთარი, მთელი დღე ზვარიელად თოვდა და თოვდა, ხალხი კი უწყვეტ ნაკადად მოდიოდა, მოჰქონდათ გვირგვინები, ძახვლის კონები და მღუმარედ ალაგებდნენ კუბოსთან. ირგვლივ იღვრებოდა მოცარტის და შოპენის უკვდავი მუსიკა, რომელიც გულს ენით აუწერელი სევდით მისერავდა.

შორეულ უკრაინაში მე დავკარგე არა მარტო უფროსი მეგობარი, არამედ საქართველოს ნაწილიც, რომელსაც საკუთარ გულში დაატარებდა მიკოლა ბაჟანი. მაგრამ აქ განასიტყვები უშველის რამეს?

ლოქსი მოგოც რიყიყი



(1938 - 2020)

მერბან ჯუპურია

რუსთაველის მჩქეფარ სტრიქონს გავეყოფ შუა, დავენერ ასე: ჭე, მამულო, საცა ვიყო, დავალ შენზე ფიქრით სავსე.

მე რას მოგცემ თუმცა ასეთს, შენ რას მომცემ, მე რომ გკითხო, მაინც შენზე ფიქრით სავსე დავალ, საცა გინდა ვიყო.

შენ ორ ნაბიჯს მომცემ მინას, დაგიტოვებ მე ორ სტრიქონს, შენ გამატან მე ოთხ ფიცარს, საცა დიდხანს უნდა ვიყო.

და შეჯიბრი ნავა მძაფრი - ფიცარი თუ სიტყვის ღონე, სალამო ხანს, როგორც აფრა, მზე რომ ჩავა, მომიგონე!

მე ვარ იწირა, ჩქაფუნა, თავს ცა-ლაუვარდი მახურავს, ცეკვით მივყვები ჭალებს; შორსაა ჩემი სათავე, მიშვებული მაქვს სადავე,

მოვაციციციმებ თვალებს; უკმორე მრჩება სვანეთი დიდი მთებით და მწვანეთი, წინ ხევებია ბნელი; შორია ჩემი ნარსული, ხანდახან ფიქროგარსული გავინაბები ტრელი. ხან მონადირე ჩაივლის, ხან გაღმა მხარეს ყვავილი მოადგება და მიმზერს, სალამო ხანზე ნაპირი მენაფება და ძახილით მწყემსი იალალს მისდევს. ხან ვაკვირდები ვარსკვლავებს, ხან მთვარის შუქზე ნანანავებს ვეფერები და ვვარცხნი, დილით გამოვალ ნათელში, როგორც კამკამა სანთელი, რომ გავახარო კაცი.

ლევან ხარანაულს (ხალხურ კილოზე) მე მომწონს შენი ნახატი - სახემომჭენარი „ბებია“ ზის ფანჯარასთან რომელიც და ზეცას შეხიდებია იქვე წყლიანი ჭიქა დგას, მოსმა რომ დავინწყებია წინ იყურება და ფიქრობს, ქალაქში რა ამბებია, არა ჩანს, მაგრამ იგრძნობა, რომ ტილოს გარეთ მთებია, თუმცა რა დროა, არ ვიცით და ძნელად გასაგებია - იქნება იანვარია, იქნება: ცუდი გზებია...

რომ ვნახე შენი ნახატი, ასე ვიფიქრე მაშინა, თურმე სადა ხარ, შევმცდარვარ, მხატვარმა რაც გააშინა - დარდია ნუთისოფელზე,

ბებია რომ შეაშინა, თვალბეში რომ იკითხება: ქვეყანა რამ გააჩინა, რას ნიშნავს სიკვდილ-სიცოცხლე, ან გარეთ ყოფნა, ან შინა.

რა იქნა ყმანვილქალობა, თუ არ ყოფილა აროდეს, ნერგს რატომ უწევს, ნიადაგ სარეველასთან ხარობდეს, კაცი ხორციით ვერ ძლებოდეს და სპილო ფოთოლს კმარობდეს, მგელი კრავს ემტერებოდეს, ფუტკარი სხვისთვის წვალობდეს.

ვარცლია ნუთისოფელი, წყავის ჩრდილში რომ აგდია, უანგით შეჭმული, ძველმანი, არავის რომ არ არგია, შიშვლად მოსული შიშველი ნავა და ასაბარგია, ეს სახლი ლეება, ის სახლი ამ სახლზე ასგზის კარგია.

ეს ჩამოვწერე, მეორედ როდესაც ვნახე ნახატი, იქნებ, მესამედ მენახა, სხვა რამეს დავინახავდი...

ნაწყვეტი პოემიძან „ოქროს ნაწმინი“

ახლა ზღვაური ქარია, მოვდივართ, მოგვიხარია, კარგი ბიჭები არიან, ნავი რომ მიჰყავთ ჩვენი. შენც მათ რიგებში ითვლები, შენც დაიფხრინე თითები, განზე რად გაიჭვრიტები ჩუმი ნალეელის მჩენი. თუ გახსოვს ზაურ ფიფია, იქ, სადაც ზღვისა რიფია, როგორ ყნოსავდა ქვიშიან მინას ჭურჭრად მდგარი. ეგ შენი ტურფა მხარეა, შენი მზეა და მთვარეა,

აქ გიმღეროდა ნანინას შენი გამზრდელი ქალი. ეგ შენი დიდი ფოთია, შენი ბენავი ფოთია, შენი ჭენჭყი და წყალი!

შენ იცავ შეილებს მთელი ცხოვრება, როგორც მდინარეს იცავს ნაპირი, რამდენი რამე გემახსოვრება, გასაოცარი და გასაკვირი.

წყენა რა არი, რომ ნატამალიც არ გამჩნევია გულის სარკეზე, მუდამ იცოდი, რაა მთავარი და საკუთარი ფრთები დაკეცი.

ასეთი გერგო შენ საწყალი, რომ ენაცვალო გულით საფიცართ, შენზე ჰკიდია სახლი, მამული, დედა-სამშობლო და დედა-მინა.

ქაფათის ცახვები

მე ნამოვდები რიყრაყის ხმაზე და, გაზაფხული რომ შევა ფერში, ისევ ვენვევი ქაფათის ცაცხვებს, იქაა ჩემი ძირი და ნერჩი.

იქ ჩამოვჯდები საფლავის ქვაზე, ვიქნები მწარე ფიქრების მწყემსი, გავხედავ სივრცეს ისე, ვით გაზეთს, და ვიტყვი სათქმელს უბრალო ლექსით:

ბევრგზის დავეცი ცხოვრების გზაზე, ბევრგზის დავკარგე მართალი გეზი, მაინც არა სწყინთ ქაფათის ცაცხვებს ჩემი ცხოვრების რიგი და წესი.

ცეჩინეტი გრანგოს

მაცხოვრის კარის გაღვანთან ციციქნა ბორცვია, არა გყავს დაი-მწყალობელი - მოკვდა ზოზია! ზოზიამ შენი მიცვალება გვიან გაიგო! შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ - არ გყავს დაიკო! მაცხოვრის კარის გაღვანთან ცაცხვი შრიალებს, თუ... ძმის სულია, დის საფლავს რომ თავს დასტრიალებს?



მაბლა ჩანქსელიანი

შემოცგომა

სიყვითლე ოქროსფერ ზენრებად ედება, მინაზე დაფენილ ოქტომბრის სიცივეს, მზის პირმა ღრუბელთა დარბაზში იარა, ბროლის ყელს უმშვენებს ვარსკვლავი ცის კიდეს.

მთვარე ხომ უძირო სივრცეში აბნევედა სხივების მანდილზე დაწერილ სონეტებს, ფერმკრთალი წამები მოლოდინს ძერწავენ, სალამოს ქალაქზე სიჩუმე იმეფებს.

ნეტავ, ვის ელიან ყვითელი ფოთლები, მალე ხომ ფიფქები გზებს გადაივლიან, უდროოდ დაფენილ ოქტომბრის სიცივეს ფოთლები ოქროსფერ ზენრებად ეკვირან.

თეთრი რამეები

გადის თვეები, ზეცა არხევეს თოვლში ნაწმამებს, უკვე ველარც ვნერ და რითმებიც სადაც გარბიან, იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს დეკემბრის თეთრი ლამეები ენაცვლებიან.

თუმც ყოველი დღე შენზე ფიქრში ათენებს ღამეს, მე სიმარტოვის ბუღბუღი ვარ, როგორც გრანელი ... კვლავ შენს სარკმელთან მოსიერნე მთვარეზე ვბრაზობ, თეთრ სასთუმალთან მომილაგა ღამემ დარდები...

მწვერვალთა კიდეს ვერ ეხება სხივთა ალერსი, ზამთრის სილურჯე ბილიკებზე ფიფქებად ცვივა, ფიქრთა აკლდამას ცივ ზენრებში ახევეს სიშორე, უშენოდ ყოფნა, რომ იცოდე, სულ უფრო მტკივა...

საათმა თითქოს ახლებურად ჩამოკრა თორმეტს, ეს დეკემბერიც მიილია თეთრ ღამეებში, შორიდან ვითვლი ათრთოლებულ ნაწმამთა ფეთქვას, უძირო მზერა იზმორება ზღვისფერ თვალბეში.

გადის თვეები, ზეცა არხევეს თოვლში ნაწმამებს, უკვე ველარც ვნერ და რითმებიც სადაც გარბიან, იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს დეკემბრის თეთრი ლამეები ენაცვლებიან.

ლურჯი ხატება ზეცას ეკვრის, როგორც ციალი, ლოდინს უწესებს შემოდგომა მთვარის ორეულს, სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო, არავინ იცის, არვინ უწყის, არავის ესმის...

კედლებს აწყდება მონატრების მძიმე ხუნდები, ფიქრთა რელსებზე დაცვენილი დარდი მნიფდება, სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო, ჯვარცმული სული ყველა მხრიდან რად იდევნება.

ზღვარგადასული გრძნობით შევესვამ სავსე ფიალას, რომ დავივინყო ამ ცხოვრების ამო მზერა, შევერცხლილ მთებზე გადანოლილ ზეცას შეჰყვიროს ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა.

ინგურს გარკომას. ჰიმს მიწაზე

ეკლის გვირგვინი შემოავლეს დედა სამშობლოს, ცა ჩირალდნებით ავსებულა ინგურს გადაღმა, დილა გათენდა უჩვეულო სველი ყლორტებით, ზეცა დაგვტირის... დაუსველდა ღმთისმშობელს კალთა...

ყაყაჩოსფერი ელვარებით გვიმზერდა ზეცა, ტყვიების ნვიმა ანგელოზებს გულში ხვედებოდათ, ცრემლები სწვავდნენ ქუთუთოებს წითელ ზოლებად, იყო სისხლისღერა... შეწყალება არვინ იცოდა.

იუდას მსგავსად... არაერთხელ გავგვიდეს გაგცეს, და მამლის პირველ ყვილამდე გავარდა ტყვია, აბობოქრებულ ზღვის ტალღებში გაცურდა ნავი, და ამის შემდეგ ჩემს მიწაზე დევნილი მქვია.

უფლის ტაძრამდე ადიოდა ხალხის გოდება, გვსურს მხურვალე კვლავ შევიგრძნოთ ქართული მიწის, გახსნილ ჭრილობებს დრო როგორღაც განკურნავს მაგრამ, რაღა ვუშველოთ იმ ტკივილებს სულში. რომ ღვივის.

მთებს დაეხურათ ბინდისფერი ლეჩაქი თმებზე, სისხლიან ზენრებს დაეფარა ენგურის ველი, ტროტუარებზე გაისმოდა დედების გმინვა, ხარ გოლგოთისკენ მიმავალი ჯვარცმული ღმერთი.

ირყმპლოი რამე

ღამეა, ისევ ცოცხლებიან ლურჯი ჩრდილები, ჩამავალი მზე ერეკება სარკმელთან წყვილად, ამ შემოდგომის ღამეებში შემოჩვეული მოჩვენებები ბნელ ოთახში იწყებენ რიალს.

ფიქრები უკვე სიბნელეშიც მიღრღინდნენ სხეულს, ისე მიმძიმდა უშენობით ღამის გატანა, მენატრებოდი და სიგაიის ზღვრამდე მისული ველარ გამჩნევი, დავემსგავსე თურმე ავაზაკს.

ბნელში სარკმელთან აჩრდილები ჩურჩულს იწყებდნენ, ქანცვაცლილ დღეებს იანვარი ნისლებში ხვევდა, ამ უღიმღამო სიბნელეში დაქროდა ქარი, მე კი ოთახში არსებული სიჩუმე მეცვა.

თებერვლის ფიფქით მევესებოდა სულში ფიალა, მე ღამეები უშენობის შემოვიკედლე, როგორც იუდას, საკუთარი თავი გავეცი და ამ ოთახში თვითმკვლელობის გრძნობა ვიგემე.

შუალამისას შეარხევედა წყვილად ნიავი, ამ უღიმღამო სიბნელეში გაიჭრა მთვარე, მოჩვენებებიც გაიპარნენ ღია კარიდან, ვითარსი შუქი აცოცხლებდა იდუმალ ღამეს.

სვანეთ

ზეცამ ნისლებში გაახვია სვანეთის მთები, ცამდე აზიდულ მწვერვალებზე ღრუბლები წვანან, მიიჩქარიან მალლობისკენ სავალი გზები, სად გულისცემას აჰყოლია სვანური ნანა.

თავზე დაგყურებს მდუმარება ალესილ კლდეთა, აკვანს დაგირწევს ანგელოზი ცისფერი ფრთებით, ჩანგის სიმები უხსოვარ დროთა მორევში ფეთქავს, კოშკებს ამშვენებს ბუდეები ჩუქურთმებივით.

ცისფერ კალაპოტს გაარღვევენ კლდეთა სვეტები, ნისლად დაღვრილი მთების სუნთქვა ხეობას ატკობს, ისე ამაყად გაგიტაცებს სიძველის სუნი, თეთნულდის ზეცა შარავანდედს მოჰფენს სამყაროს.

ლიბერალიზმ და კიდევ სხვა

„მოგესალმებით, უღრმესი მადლობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ლიტერატურული კონკურსის ორგანიზებისთვის, მეთავეცა, რომ საშუალება მომეცა მხატვრული ნაწარებით გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურის, როგორც ასეთის, მიმართ და მოვსინჯო ჩემი სამწერლო შესაძლებლობები“. მარინა შაიშვილი, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკაძეების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ასეთ შეფასებას აძლევს ლიტერატურულ კონკურსს მასწავლებელი, რომელმაც თავისი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმით „ჩემი პირველი მასწავლებელი“ აშკარად წარმოაჩინა მაღალმხატვრული აზროვნების უნარი, ნიჭიერება - მკითხველამდე სათქმელის ისე მიტანისა, რომ თავისი თავგადასავალის თანამონაწილედ აქციოს იგი. ამ მხატვრულ ნაწარმში სოხუმში აღმოცენებული სახლიდან ომის საშინელებას სასწაულად გადარჩენილი გოგონას ბიოგრაფია, პირველ კლასში შეხვედრილი დღემდე დაუფინყარი მასწავლებლის გახსენებით და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ეპიზოდით, რომელსაც უცრემლოდ ვერავინ გაეცნობა.

„ჩემი მასწავლებელი? ის ახლა ჩემს უბანში მოპირდაპირე ქუჩაზე ცხოვრობს ოცდაათი წლის შემდეგაც ისევ ისეთი ლამაზია, როგორც მაშინ, სულ ვფიქრობ, მადლობა გადავუხადო ყველაფრისათვის, იქნებ ამ ნაწარმით შევძლო ეს“...

კონკრეტულად ამ მხატვრული და კონკურსში მონაწილე ყველა სხვა ავტორის პოეტური და პროზაული ნაწარმის ლაიტმოტივი ერთია: მასწავლებელი, სკოლა, მოსწავლე, ჩვენი საზოგადოება და სამშობლო...

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა ფრიად საინტერესო ლიტერატურული კონკურსის

ჩატარებით კიდევ ერთხელ დაადასტურა დიდი მამულიშვილის სახელისა და საქმის ერთგულება, ერთდროულად, ლიტერატურის, ზოგადად, ქართული მწერლობის ფენომენთან პედაგოგთა დამოკიდებულება და მესამე, მოხდა ახალ შემოქმედ. პედაგოგთა აღმოჩენა, დაფასება და წარმოჩენა.

მთავარ სათქმელამდე ალბათ იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ეგიდით ასეთი შემოქმედებითი კონკურსები უკვე ტრადიციად და ქცეული და მთელი საქართველოს მასშტაბით დიდ ინტერესსაც იწვევს.

ამ პოზიტიური ფაქტის არსებობის მიზეზთა შორის ერთი ისიცაა, რომ კავშირის თავმჯდომარე, ბატონი გარი ჩაფიძე, თავად მწერალია, მხატვრული, პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური ნიშნების ავტორი, და მიაჩნია, რომ სწორედ მწერლობა ადამიანთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის გადაზიდვით და რომ, სწორედაც ბიბლიური სიტყვით კაცობრიობისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარი ორიენტირი.

დასტურდა: ომი უკრაინაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა ისტორიის კუთვნილება, იგი ანმყოფია და უდიდესი ტრაგედიის ფაქტად რჩება. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ქვეყანაში კვლავაც გრძელდება სამწერლო ლიტერატურული ცხოვრება, რისი მაგალითიც ქალაქი ჩერნიგოვია. აქ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში ჩვენმა და ერთდროულად უკრაინის მოქალაქემ გარი ჩაფიძემ თავისი პროზაული ნაწარმით „ნოველად ქცეული ამბავი“ გაიმარჯვა და ერთ-ერთი საუკეთესო პრიზი დაიმსახურა. უკრაინელ ხალხს ღრმად სჯერა და სწამს, რომ გამარჯვებას ლიტერატურითაც, მწერლობითაც მიაღწევენ. მწერლობა - მშვიდობის მთავარი იარაღად, მწერლობა მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარ მიზნად და მიზეზად უნდა იქცეს, ხოლო მწერალი იყო, არის და დარჩება ადამიანთა სულების მშვიდობის დეკანად.

ლიტერატურული კონკურსი სახელწოდებით „შემოქმედი მასწავლებელი“ საქართველოს განათლების სამინისტროსთან ოფიციალური შეთანხმებით ჩატარდა. ფაქტის შესახებ სამი თვით ადრე ინფორმაცია ქვეყნის ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას

გავგზავნა. საკონკურსო მასალების მიწოდება ქვეყნის ყველა კუთხიდან ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გასაკვირია, მაგრამ საქართველოს პერიფერიული რეგიონებიდან ყველაზე მეტად იმარჯვეს პედაგოგებმა. მასალები რუსთაველი, აკადემიურ ქალაქში გამოიგზავნა, იქ, სადაც საკონკურსო უიური შეირჩა და მუშაობდა.

ლონისძიების ორგანიზებულად ჩატარებას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რასაც წარმატებით გაართვეს თავი პროფესორმა ლეილა გეგუშიძემ. უიურის ნევრებმა ნინო კაკიაშვილმა და მარია შარიქაძემ.

საერთო შთაბეჭდილებიდან ერთ რამ ცხადი გახდა, თურმე რა ძლიერი ნებისყოფის, მაღალი პასუხისმგებლობის, სამშობლოზე, საკუთარ პროფესიასა და მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული მასწავლებლები გვეყოლია ქვეყნის ყველა სკოლაში, ერთდროულად, ბევრი მათგანი რა გემოვნებიანი, ღრმად მოაზროვნე კალმოსანიც ყოფილა. მათი შემოქმედებითი თვალთ დაწახული სამყარო ძლიერ ინდივიდუალურია და ამავე დროს მიახლოებული მსოფლიო მწერლობის საერთო სევედასთან, ტკივილებთან, თანამედროვეობის ღრმა ეროვნულ განცდებთან, ჩვენი ახალგაზრდა თაობის გადაუჭრელ და მოუჩინებელ პრობლემებთან, ერის მთავარ სატიკვართან, დაკარგულ თუ გასხვისებულ მამულთან, სამშობლოში დაკარგულ სამშობლოსთან...

პედაგოგთა ნაწარმებიდან გულწრფელი, საოცრად მაღალი სულიერების ლირიული პიროვნება იმზირება, ისეთი, რომელიც ჩვენი დროის ათასი დარღუბების მიუხედავად, ყველაფერს აკეთებს, რომ თავისი პოეტური სიტყვით ადამიანთა შორის ქრისტესმთავარი სიყვარული და სათნოება გააღვივოს, რათა ირგვლივ მყოფთ ძველებურად უყვარდეთ ნინაპრები, აფასებდნენ მათ სიცოცხლეშივე და თაობებს ეროვნული ტრადიციებით ზრდიდნენ.

ამ მაღალი დონის მხატვრულმა ნაწარმებმა თავად უკრაინაში უიურის ნევრებს ნიგნის გამოცემის იდეა. გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმებით შეიქმნა ძალიან საინტერესო ახალი გამოცემა „შემოქმედი მასწავლებელი“, რომელსაც სიამოვნებით წაიკითხავს ლიტერატურით დაინტერესებული ნებისმიერი

ასაკის მკითხველი. ავტორები არიან: ლეკო ჯოჯუა, ცისანა კურტანიძე, მანია ტაბატაძე, თამარ ბაგალაშვილი, მარია ჯიქია, ნინო კიკალიშვილი, მარინა შაიშვილი, მარინა წერეთელი, ბაია მაჩიტაძე, ნინო დობტურიშვილი, ლია კვესაძე, დონარა გორგილაძე, თამარ ყორჟოლიანი, მადონა თუბიძე, მარიამ დალაქიშვილი, ირმა ხარშილაძე, ნანა კალანდაძე, მარი მატარაშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი, ნინო მუშკუდიანი, თათია კორძია, ნატო ბერძული, მარიამ ბელანაშვილი, მანანა კანთელაშვილი, მაია ელიკაშვილი, ეთერ აბულაძე, თამარ ნანუაშვილი, მანანა ყაჭვიშვილი, ქეთევან ჩინაშვილი, ნინო გოგიბერიძე, მანანა ბაღვაშვილი, თამარ ყურაშვილი, ნანა ჭანკვეტაძე, ია ზურაბიშვილი, გულნარა ჯიოშვილი, ბელა ჯიკაძე, მიხეილ ბიბილაშვილი, მაკა ბობოხიძე, ნანა კუჭუხიძე, შორენა ნაყოფია, ოლღა ბოჭორიშვილი, შორენა ბერიშვილი, იამზე ბექაური, მირანდა შარაშენიძე, ნანა სამხარაძე.

„მითრეველი სოფლის ტკივილი“, „ანი-დან ჰომედე“, „ორშაბათს, სამშაბათს, ხუთ-შაბათს“, „ძილში კი სიმზრებად მოდიან ბავშვები, მოდიან ბავშვები და ნიშნებს მიწერენ“, „მან თქვა, ზღვა ცისფერია“, „გაზაფხულის პირველი ნაბიჯები“, „ამაოება“, „სოფელი ჩემო“, „ფუფალა“, „მშვიდობით არა, ნახვამდის“, „გულში შენახული დროშა“ და სხვა მხატვრული ნაწარმები ჭეშმარიტად ახალი სიტყვით თანამედროვე ქართულ პროზასა და პოეზიაში.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი და საკონკურსო უიურის ყველა ნევრი, ამ სტრიქონების ავტორთან ერთად მადლობას უხდის კონკურსის მონაწილე ყველა პედაგოგს ღირსეული თანამშრომლობისათვის, ყველანი ერთად კი მადლობას ვუხდით საქართველოს განათლების სამინისტროს ასეთი ნამოწყების ხელშეწყობისათვის.

ტრადიცია საფუძველჩაყრილია, მამულს, ენასა და სარწმუნოებას პრაქტიკული საქმეებით უნდა მივხედოთ. ქართული სამება ჩვენი მომავალი თაობებისათვის ეროვნული ცნობიერების მაღალ ნიშნულად უნდა დარჩეს.

ლია მარტაშვილი

ორიოდ სიფყვით ბ-ნ ყოფილ „გჯერა“-ს!

(რეპლიკის ნაცვლად)

სხვათა შორის, თუ იმდენად მოვეგებით გონს, რომ თქვენგანვე გენიოსად არაერთგზის აღიარებული პოეტის პოემა „ბედი ქართლისას“ უკუღმა არ წავიკითხავთ, მივხედვებით, მარტივ მეტაფორასთან გვაქვს შეხება: ბარათაშვილი სათაურშივე ააშკარავებს თავის შეხედულებას ამ ვითომ საჭოჭმანო, ბრიყვულად შეითხინილ ბრალდებასთან დაკავშირებით - იმ ისტორიულ კონტექსტში საქართველოს, „სხვა ხსნა, სხვა გზა“ არ გააჩნდა!.. რომ „დღეს იქნება თუ ხვალ იქნება“ მისი ბედისწერა გახლდათ!.. თუმცა (ბედისწერა ყოველთვის აპოკალიფსს არ გულისხმობს!) პოემაში მინც იკითხება (თუ განგებ არ დავიბრმავებთ თვალებს!), რომ ალტერნატივა საერთოდ გაქრობით ემუქრებოდა ქრისტეს გზაზე ხუთი საუკუნით ადრე შემდგარსა და ღვთისმშობლის კალთას ამოფარებულ ეგზომ მცირერიცხოვან ჩვენს ერს!..

ისევ და ისევ, სხვათა შორის, ჯერაც კიდევ ბოლომდე შეუცნობელი და გულისყურით წაუკითხავი, მსოფლიო მასშტაბის ტიტანის, იოსებ ჯულაშვილის აზრით «Грузия выбрала наименьшее зло!»

საქართველომ, ანუ მეფე ერეკლემ, იგივე, „პატარა კახმა“, ჯაჭვის პერანგი რომ ჩააცვებს და „გაკრა ხელი და გახია!“ ოთხმოცს მიტანებულმა ლომმა ამდენივე ჭრილობით დატოვა უკვე მოგებული და მერე გაუგონარი ლალაბით წაგებული კრწანისის ომი!

თქვენ კი, გეტყობათ, დღესაც „გჯერათ“ თქვენი შევარდნისა და კუმირის, რომელმაც საიმედოდ დაიკვიდრა არა საუკუნო სასუფეველი, არამედ ძვალთშესალაგი კრწანისის რეზიდენციაში და რომელმაც რიხიანად განაცხადა 1973 წლის ოქტომბერში აღმა-მატერში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომ «Не было никакого наименьшего зла: было Зло в лице Турции и было Добро - в лице России!».

გიგო ზარნაძე

თანამედროვეობის არქივიდან

არ გვინდა ომი

გაზაფხულსაც ჰყავს თავისი დედოფალი. ის მარტში გამოჩნდება ხოლმე ბალჩა-ბალებში, ტყემლის და ნუშის ხის ტოტებზე კვირტებს დასვამს, მოეფერება მინდვრად იას და ენძელას - გაზაფხული მოდის...

რად გაუჭირდა, ნეტა, წელს მოსვლა ასე ძალიან? დამდგარა მოშორებით და იბრძვის მთელი ძალით შემოსაბრძანებლად. ყველანი ვიბრძვით, როგორც შეგვიძლია...

ტყვია და ბომბები ზამთარმა დაგვიტოვა, ჯერაც ვერ გავრეკეთ დედამინიდან, დაილაღა სამყარო, მოდი, გაზაფხულის დედოფალი, გელოდებით, გაგვიხარე გული!

ოი, ზამთარო, აღარ გვინდა ამდენი სიცივე, გვეყო: პან-დეშია, სიკვდილი, მერე, ომი...

მოდი, მოფრინდი, გაზაფხულის დედოფალი, შენა ხარ ჩვენი გულისსწორი და გულით, როგორც არასდროს! დაუამე ტკივილი ადამიანს, მოსწმინდე თვალებიდან ცრემლი.

გელი, გელი...

იქ, იმ მიწაზე, ილუპებიან უცოდველი ბავშვები - როგორ სჭირდებათ მათ შენი სითბო და ალერსი.

იბრძვის დედოფალი, უხმობს მარტის მზეს, გაუნვდია მისკენ ხელები და ევედრება, მოვიდეს, გაათბოს დედამინა და გააღვივოს ყინულიანი მთები.

ყოჩაღ, დედოფალი, შენი იმედი ნუ მოგვიშლის მაღალმა ღმერთმა (დაილოცა მისი სახელი)! გვეჯერა და გვენამს შენი სასწაულები: აყვავებული ხეების, გამწვანებული მინდვრების, გამობარი გულები და, რაც ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია - ადამიანების გადარჩენის!

არ გვინდა ომი, არ გვინდა ომი!

მოდი, გაზაფხულის დედოფალი, დაასრულე ეს ბრძოლა - გაიმარჯვე სიცივეზე. ჩვენ კი სისასტიკეს მოვუღებთ ბოლოს...

ამინდი უკრაინაში

როგორი ამინდი იქნება დღეს უკრაინაში? ჩვენთან თუმცა ალაგ-ალაგ მზეც ანათებს, ცა ღრუბლიანია, მაგრამ...

აღარ თოვს. მინდა, რომ ვიყო ოდესაში, ზღვასთან ახლოს. ვისუნთქო



იოდით ნაყენი შავი და ვნერო, გამალებით, სილამაზეზე, იქაური კლიმატი რომ ქსოვს.

მაგრამ ვიცი, ოცნებას ასრულება არ უნერია, რადგან უკრაინაში ისევ თოვს...

რა სამწუხაროა!

თოვლი და ყინვა არ მთავრდება და სცივათ ადამიანებს, გაყინული აქვთ გულები.

რით ვუშველო?!

მხოლოდ სიმღერა თუ შემიძლია მათ მოთმინებაზე, დამსხვრეულ ოცნებებზე და ოდესაში, ზღვის ნაპირთან მდგარ თეთრ გემებზე.

რა სილამაზეა. ის მხოლოდ მათ ეკუთვნის და სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია ვერაფერი.

„უკრაინაში ისევ თოვს, იბობება ქალაქები და ილუპებიან უდაშულო ადამიანები,“ - გადმოსცემს ტელევიზია ახალ ამბებს და მე კვლავ ფანჯარასთან ვდგავარ და ველოდები გამოდარებას,


მზის სხივებს, სითბოს და სინათლეს,

რომ მერე ერთი დიდი კალათი გავავსო ამ ყველაფრით და გავაგზავნო ქვეყანაში, სადაც უკვე დიდი ხანია ელოდებიან გაზაფხულის მოსვლას.

ისე კი იგვიანებს, ჭირვეულობს,

მაგრამ აუცილებლად გაგვახარებს - მოვა დრო...

სინო გოკუჩავა



კატია ვოლტარსი

– მწერალი და მთარგმნელი. ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან ადრეულ ასაკში დატოვა, საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით ისევ ქართულ კულტურას ემსახურება. თარგმნის როგორც ქართულად: პოლონურიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან, ესპანურიდან, ასევე პირიქით. ამჟამად სწავლობს ებრაულსა და იდიშს.

კატია პოლონელი მწერლის, 2018 წლის ნობელიანტი ქალის – ოლგა ტოკარჩუკის პირველი ქართველი მთარგმნელია. ქართულად ნათარგმნი აქვს რომანი „ნიგნები იაკობისა“ და მოთხრობების კრებული „შოტლანდიური თევ“.

ჩვენს თაობას მე „სავარძლის მოგზაურებს“ ვეძახი

– კატია, მინდა ინტერვიუ ეგზოპერიის ფრაზით დაიწყოთ: „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“. როგორი იყო კატია ვოლტარსის ბავშვობა?

– დიახ, ნამდვილად ასეა. ძალიან მიყვარს ეგზოპერი და არანაირი საფუძველი არ მაქვს, რომ არ დავეთანხმო მის ამ ცნობილ, დროში გამოცდილ ფრაზას. რაც უფრო შევდივართ ასაკში, მით უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ იმ ბავშვს ვუბრუნდებით, რომელიც ოდესღაც ვიყავით. თითქოს არც არასოდეს წავსულვართ ბავშვობიდან. და საერთოდ, მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება ბავშვობის მიტოვება და მერე ისევ მასში – ადამიანისთვის ყველაზე სასურველ ნიაღში – დაბრუნებაა. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი ბირთვიც ადრეულ ბავშვობაში იდება და ყალიბდება.

რაც შეეხება ჩემს ბავშვობას, ჩვეულებრივი საბჭოთა ბავშვი ვიყავი. მაშინდელი ბავშვები ძალიან ვგავდით ერთმანეთს. სწორედ რამდენიმე დღის წინ ზვიად რატიალის შემოქმედებაზე ვსაუბრობდი და ვთქვი, რომ ჩვენი თაობის ბავშვობა საბჭოთა კავშირთან ერთად დამთავრდა.

ჩვენ ჩაკეტილ ქვეყანაში ვცხოვრობდით. საბჭოთა საზღვრებიდან გაღწევა, შეიძლება ითქვას, მაშინ ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა და დანარჩენ სამყაროს, რომლის მიმართაც ცხოველი ინტერესი გაგვარჩნდა, მხოლოდ ნიგნებიდან ვიცნობდით. ეს ინტერესი კიდევ უფრო უმძაფრდებოდა მათ, ვინც ბევრს კითხულობდა. ასეთ ბავშვებს მივეკუთვნებოდი მეც. ჩვენ არ გვქონდა ნიგნებში აღწერილი სამყაროს რეალურად ნახვის და განცდის ფუფუნება. ჩვენ ვკითხულობდით და ნიგნებშივე ვრჩებოდით, რადგან ვიცოდით, რომ ვერასდროს ვნახავდით იმ ადგილებს, რომლებიც უცხოელი მწერლების რომანებსა და მოთხრობებში იყო აღწერილი. თუ, დაუშვავთ, რომელიმე კონკრეტული ადგილის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება გინდოდა, მაშინ ახალი ნიგნის ძებნას იწყებდი, რომელიც ცოდნას კიდევ უფრო მეტად გაგიღრმავებდა და წარმოსახვასაც გაგიფართოებდა.

ჩვენს თაობას მე „სავარძლის მოგზაურებს“ ვეძახი.

– რამდენი წლისა იყავით, როდესაც თქვენი „მოგზაურობა“ დაიწყო?

– საკმაოდ პატარა. კითხვა სამი წლისამ ვისწავლე. უზომოდ მიყვარდა ამბების მოსმენა და ბევრსაც მიკითხავდნენ, განსაკუთრებით ბებია. მაგრამ ბებია ექიმი იყო, თავისუფალი დრო ცოტა ჰქონდა, თანაც ამბის მოსმენის ჩემი გამუდმებული მოთხოვნის და ერთი და იმავე ნიგნის დაახლოებით ასჯერ წაკითხვის სურვილი, ეტყობა, მობეზრებული ჰქონდა და ხანდახან თვითნებურად ცვლიდა ხოლმე ტექსტებს, რასაც მე მაშინვე ვხედებოდი და ვუბნებოდი, ნუ ცვლი, ნიგნში ასე არ წერია-მეთქი. ერთხელაც, ამის გამო, ჩემი მუღად მშვიდი და სათნო ბებია გამიწყრა და მითხრა, თუ ჩემი წაკითხული არ მოგონს, მაშინ ისწავლე კითხვა და თვითონ წაკითხე.

ეს ამბავი ჭკუაში დამიჯდა. კარგა ხანს ვფიქრობდი, ნეტავ, როგორ შეიძლება, ადამიანმა კითხვა ისწავლოს-მეთქი და გამოსავლასაც იოლად მივაგენი.

იმ დროს გამოდიოდა ასეთი გაზეთი – „კომუნისტი“. სახელწოდება პირველ გვერდზე დიდი ასოებით იყო გამოყვანილი და ვიცოდი, რომ ეს სიტყვა იყო კომუნისტი. რამდენიმე ასო აქედან ვისწავლე, მერე ტექსტებში იმ ასოებს დავეხეივებებო, რომლებიც ვიცოდი და ფაზლივით ვაწყობდი სიტყვებს. მალე ოცდაცამეტივე ასო ვისწავლე და უცებ, სეზამით, ახალი სამყაროს კარი გაიხსნა ჩემთვის.

ერთ მშვენიერ დღეს დედასთან და ბებიასთან გამოვცხადე და ვთქვი, რომ კითხვა ვიცოდი. რა თქმა უნდა, გულიანათ გაცინათ და მითხრეს: ჰო, ჰო, რა თქმა უნდა! აბა რა! იცი კითხვა. ვუთხარი, თუ არ გჯერათ, ნიგნს ავიღებ და წავიკითხავთ-მეთქი. დაინწყე კიდევ კითხვა, მაგრამ მაინც არ დამიჯერეს, იფიქრეს, ყველა ეს ამბავი, იმდენჯერ აქვს მოსმენილი უკვე ზეპირად იცისო. მერე რაღაც ისტორიის ნიგნი მომცეს, რომელსაც დედა კითხულობდა, და მართლა წავიკითხე. მათი სახეები დღესაც მახსოვს, როგორი გაოგნებულები მიყურებდნენ.

ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ბედნიერების წლები – აბსოლუტური დამოუკიდებლობის ხანა. ვკითხულობდი საბავშვო და არასაბავშვო ლიტერატურას, ტელეფონების ნიგნს, კიბერნეტიკის სახელმძღვანელოსაც კი... ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდებოდა. ჩემდა საბედნიეროდ, შინაც ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა. იმდენად ბევრს ვკითხულობდი, რომ ოჯახში ეს ამბავი ადარდებდათ კიდევ, დაახლოებით ისე, როგორც დღეს ადარდებთ ის ბავშვები, რომლებიც ტელეფონებთან და კომპიუტერებთან დიდ დროს ატარებენ.

– ძალიან საინტერესოა, რასაც მიყვებით. და რეალურ „მოგზაურად“ როდის იქცევით?

– საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. ჩემი სტუდენტობა, როცა დიდი და დამოუკიდებელი ცხოვრება უნდა დამეწყოს სხვა თანატოლებთან ერთად, საბჭოთა კავშირის დანგრევის პერიოდს დაემთხვა. ყველაფერი საშინლად აირია, თავდაყირა დადგა. დამჯერი, ფრიადოსანი გოგონა ვიყავი და გამიჭირდა ახალი რეალობის სწრაფი აღქმა და მასთან შეგუება.

მერე ისე მოხდა, რომ პოლონეთში აღმოვიჩნდი. ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა უცხოეთში. აქ პირისპირ შევეჯახე რეალურ, სასტიკ ცხოვრებას, რომლისაც, ქართული ტრადიციებით აღზრდილს, ბევრი არაფერი გამეგებოდა. მაგრამ უცხოეთში განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც მე გამიჩნდა, მაშინ იშვიათად თუ ჰქონდა ვინმეს. ამიტომ ძალიან სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება. ალბათ, ახალგაზრდა და გამოუცდიელი რომ არ ვყოფილიყავი, ამას ვერ გაუბედავდი. მაგრამ ახალგაზრდა ადამიანი თამამია, საკუთარი თავის, სამყაროს სიკეთისა და კეთილგანწყობის სჯერა. ცხადია, ოჯახსაც შემიწყობ ხელი, თუმცა, სამუნხაროდ ფინანსურად, ვერა. ამის

საშუალება მაშინ არავის ჰქონდა. უბრალოდ, ჩემს პირველ დამოუკიდებელ არჩევანს ჩემი მშობლები გაგებით მოეკიდნენ, რისთვისაც სამუდამოდ მაღლივრი ვიქნები მათი. მაშამ გზა ამ სიტყვებით დამილოცა: მთავარია, შენ იცოდე, რას აკეთებ, და ისიც ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ შენს დასახმარებლად შეიძლება არავინ მოვიდეს. თუმცა ჩემთვის ისედაც ცხადი იყო, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა ვყოფილიყავი. ცუდი დრო იდგა. არც სატელეფონო კავშირის საშუალება იყო და არც ფოსტა ფუნქციონირებდა გამართულად. მახსოვს პერიოდი, როცა ექვსი თვის განმავლობაში არაფერი არ ვიცოდით ერთმანეთზე. ისიც მახსოვს, რომ ოჯახისთვის ხმის მიწვევინა და ინფორმაციის გაცემის ერთადერთი საშუალება უცნაური ტურისტული ჯგუფები იყო, რომლებიც ძირითადად საეჭვოდ დადიოდნენ პოლონეთში. აღარ განვაგრძობ ამბავს ლაპარაკს. მთავარი ის არის, რომ, მიუხედავად დიდი სიძნელებისა, ყველაფერი უკან დარჩა. მე მიზანს მივალნივ და შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით შეძლებისდაგვარად ისევ ჩემს სამშობლოს ვემსახურები.

– როგორც ვიცი, პოლონეთში რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდით და ცხოვრობთ. რა გასწავლათ საქართველოდან წასვლამ?

– პოლონეთში 15 წელი ვიცხოვრე. ახლა უკვე დიდი ხანია გერმანიაში ვცხოვრობ.

რა გასწავლათ? – თავისუფლების შეგრძნება. პოლონეთი ჩემი მეორე სამშობლოა. რატომ? – იმიტომ, რომ დამოუკიდებელი ადამიანად პირველად იქ დავიბადე. იქ გავაცნობიერე პირველად, თუ რას ნიშნავს საკუთარი თავის წინაშე სრული პასუხისმგებლობის აღება.

– თქვენი ბავშვობის პერიოდს დაუბრუნდები. ენების მიმართ ინტერესი ბავშვობიდან გქონდათ თუ ეს შედარებით გვიანდელი მონაპოვარია?

ადრეული ასაკიდანვე სამ ენაზე მიწვევდა ლაპარაკი: ქართულად, რუსულად და გერმანულად.

დავდიოდე სკოლაში, სადაც პირველი კლასიდან ისწავლებოდა გერმანული. ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა – უკეთილშობილესი ქალბატონი ციალა ენუქიძე. ჭეშმარიტი გერმანოფილი. სწორედ მას ვუმაღლი, რომ საშუალო სკოლადათავრებულს ყველა დიდი გერმანულენოვანი მწერალი ორიგინალში მქონდა წაკითხული. და არამარტო წაკითხული, დამუშავებულიც. საბჭოთა მოსწავლეები რაშიც მოვიყოლებდით, ეს ცოცხალი სალაპარაკო ენა იყო, რადგან მხოლოდ კლასიკური ლიტერატურითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით მისი სრულყოფილად შესწავლა, მოგესხებოდა, შეუძლებელია.

– კატია, რამდენიმე ენიდან თარგმნით ქართულად: პოლონურიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან, ესპანურიდან და ასევე პირიქით. ვიცი, რომ თქვენი რომანი „იერიქონის ვარდი“ ჯერ ინგლისურად დაწერეთ და მოგვიანებით თავადვე გადმოაქართულეთ. როგორ ახერხებთ ამდენ ენასთან შეჭიდებას?

– არ ვიცი... ამბავ არ დავეფიქრებულვარ. როდესაც ადამიანი ერთდროულად რამდენიმე ენის გარემოცვაში იზრდება, ამის უნარი, როგორც ჩანს, თავისთავად უყალიბდება. დიდი მადლია, როცა შეგიძლია, ერთი ენიდან მეორეში თავისუფლად გადაინაცვლო. სხვათა შორის, თქვენ მიერ ჩამოთვლილ ენებს კიდევ ორი ახალი ენა დავამატებ: ებრაული და იდიში. თუმცა, ცხადია, ენების შესწავლა მხოლოდ ნიჭი არ არის, საკმაოდ სერიოზულ შრომასაც მოითხოვს.

რაც შეეხება თარგმანს, ნიგნის სიყვარულმა მიმიყვანა მასთან. ყოველთვის მინდოდა, კარგი ნიგნის წაკითხვის ბედნიერება იმ ადამიანებსაც ჰქონოდათ, რომელთაც ამა თუ იმ ენაზე ხელი არ მიუწვდებოდა.

– პირველად, რომელი ენიდან თარგმნით?

– პოლონურიდან? (ფიქრობს)... კი, პოლონური იყო. ადამ მიცკევიჩის ლექსების პნკარედეები გახლდათ. ერთი მათგანი კი, „რწყილი და რაბინი“, გავებედე და, გავუქსე კიდევც.

– სიტყვამაც მოიტანა პოლონურ ენასა და მწერლობაზე საუბარი და, ფიქრობ, დროა, ოლგა ტოკარჩუკზე ვკითხოთ. ჩვენს ქართველმა მკითხველმა, ის 2018 წელს, ნობელის პრემიის მიღების შემდეგ გაიცანით, და გაიცანით თქვენი თარგმანების მეშვეობით. თქვენ როდის აღმოაჩინეთ ეს ავტორი და როგორი იყო

მასზე თქვენი, როგორც მკითხველის. პირველი შთაბეჭდილება?

– ოლგა ტოკარჩუკი პირველად დაახლოებით ოცდაათი წლის წინაა წაკითხვი, ის მოულოდნელად გამომჩნდა პოლონეთის ლიტერატურულ სცენაზე. აქტიური მკითხველები, რა თქმა უნდა, მაშინვე დაინტერესდით ახალბედა მწერლით.

მისი პირველი ნიგნი მეგობარმა მაჩუქა. თუმცა ადრეც მითქვამს და არც ახლა დავმაღავ, რომ არ აღვეფრთოვანებულვარ მისით. რალაცნაირი მდორე დინების ნიგნი იყო, მაგრამ მწერლის ძალზე მდიდარი სუბტილური სამყარო და დაკვირვების უნარი პირველივე გვერდებიდან იგრნობოდა. მივხვდი, რომ ის ჩვენზე გაცილებით მეტს ხედავდა, თითქმის ზეადამიანური ხედვა ჰქონდა, ყოველისმჭვრეტელი. მონათხრობი გიყოლიებდა, მაგრამ, ამასთან, ძალიან გლლიდა უამრავი წერილმანი დეტალითა და ნიუანსით. ოლგა ტოკარჩუკს ხელენიფება, თუნდაც უბრალო ქვაბისგან მთელი სამყარო შექმნას. ამგვარ თხრობას მიჩვეულები არ ვიყავით. ვარსავე დიდი ქალაქია, სადაც ცხოვრება ძალიან სწრაფი ტემპით მიედინება, იქ ყველას სადაც ექარება და, წარმოიდგინეთ, უცებ ჩნდება ვიღაც, ვინც გუებნება: გაჩერდი, გაჩერდი და ამ ცხოვრების ყოველი წუთი, ყოველი წერილმანი აღიქვი! „ენდე ფრანგ-მენტს, რადგანაც ფრანგმენტები ისეთ კონსტელაციებს ქმნიან, მრავალგანზომილებიანი აღწერა რომ ხელენიფებთ“.

დიდი ხანი დამჭირდა ამ ნიგნის წასაკითხვა, მაგრამ ყველა, ვინც ის წაკითხა, სხვანაირი გახდა. ოლგა ტოკარჩუკი უდავოდ ის ავტორია, რომელიც მკითხველს უკეთესობისკენ გარდაქმნის.

– კრებულის თარგმნის დროს რა იყო თქვენთვის ყველაზე რთულად მოსახელთებელი, ის, რაც მწერლის ინდივიდუალიზმისა და სტილის განუყოფელი ნაწილია?

– ალბათ, მისი მოთხრობების პოლიფონიურობა, დინამიკა, პერსონაჟების მრავალსახოვნება, მათი შეგრძნებები. მე კარგად ვიცნობ კლასიკურ მუსიკას, რომელთანაც ბევრი რამ მაკავშირებს და, არა მგონია, შევცდე, თუ ოლგა ტოკარჩუკის ამ კრებულს პატარა ორკესტრს შევადარებ. აქ ყველა პერსონაჟს თავისი უღერადობა და ენა აქვს. ავტორი კი, როგორც მთხრობელი, როგორც დირიჟორი, ყველასთანაა, ერთი წამით არ ტოვებს მათ ყურადღების გარეშე; ის არა მხოლოდ ყველა ცოცხალ პერსონაჟში, ყველა ნივთშიც კი აღწევს და თანაუგრძნობს მათ. აი, ეს არ უნდა გამოვჩინო, ავტორის ეს თანაღმობა, ეს ემპათია, თორემ სხვაგვარად იმ მთლიანობას ვერ მივახლები, რითაც მწერალი სულს უდგამს თავის ნაწარმოებებს.

– თავად ოლგა ტოკარჩუკი სანობელე სიტყვაში ამბობს, რომ მთავარია მკითხველმა ფრანგმენტებისგან შემდგარი მთლიანი სურათი დაინახოს. „შოტლანდიური თვის“ თითოეული მოთხრობა, როგორც ცალკეული ფრანგმენტი, ცალკეული ხმა, ერთიან სურათს ქმნის. მაგრამ როგორია მკითხველის თვალის დაწახული ეს ერთიანი სურათი?

– ქართულენოვანი კრებულის საფუძველზე ცოტა რთული იქნება პასუხის გაცემა. პოლონური კრებული, რომლის სახელწოდებაცაა „დაკვრა ბევრ დოლზე“, 19 მოთხრობისგან შედგება, საიდანაც ჩვენ გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ 12 მოთხრობა ვთარგმნეთ და სათაურიც შევცვალეთ, რადგან ამავე სახელწოდების მოთხრობა კრებულში არ შეგვიტანია. თუმცა ამ მხრივ გამოიწვევების არა ვართ – გერმანულებზე მაკვირვებდა ვინც ვართ, ისე როგორც ჩვენ, მოთხრობები მკითხველის გემოვნების გათვალისწინებით შეარჩიეს.

მთლიანობაში კი ერთიანი სურათი კრებულში, ცხადია, შენარჩუნებულია და ის ასე იკითხება: ადამიანები სამყაროს, როგორც ერთი ცოცხალი ორგანიზმის, მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი, როგორც თავად მწერალი ამბობს, „ძღვეამოსილი“ ნაწილაკები ვართ და, მიუხედავად წარმომავლობისა, სოციალური მდგომარეობისა თუ კანის ფერისა, ჩვენ ყველას ერთნაირი განცდები და საფიქრალი გვაქვს.

– და რა არის ის ნიშანი, რაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხესა და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ პერსონაჟებს აერთიანებ?

– ისინი ერთი შეხედვით უბრალო, სხვებისგან არაფრით გამოჩნეული ადამიანები

გარდაუვლოა ბუმერანგისა

მინიერ-ზესიერცობრივი დისციპლინაა ბუმერანგი.

ჩვენი მინა პლანეტის ყოველთა უტყუარი კანონ-ურთიერთობა პირდაპირი გამხელა ბუმერანგია, რომლის სამართლიანი მოქმედება კოსმიურ-სისტემურია.

დამოუკიდებელი სიმართლე ბუმერანგი სიკვდილ-სიცოცხლეში უთუოდ არსებობს და, რა თქმა უნდა, ომსა და მშვიდობაშიც გამირულად დაჰქრის.

„ბუმერანგისა სამართლიან კანონიერ ქურდებსაც ერიდებათ“ (რიდი აქეთ).

ყოველგვარი ბარბაროსული ომი კოსმიურ-იდუმალებით აგრესიაა, რომელსაც ახლავს დიდი უარყოფითი ძალა. მისი შეკავება? მხოლოდ სამყაროსეული მარადიული სიკეთე თუ გასცემს საკადრის პასუხს. შესაძლებელია, დღევანდელი რუსეთის ამაღავარი უღმერთობა დედამიწის ურთულესი ცეცხლოვანი მარადიული პრობლემაა, რომელიც სივრცის, ბუნებასა და ჩვენ შორის არსებული უმძიმესი ავთვისებიანი დაავადებაა, რასაც თავის დროზე უხილავი ბუმერანგი დაუპირისპირდება: ადამიანებო! გახსოვდეთ ბუმერანგის დროულ გარდუვალობისა!.. მის იდუმალ ძალას და ქმედებას უფლის სიდიადეც ვერ შეცვლის, რადგან ვარსკვლავთურის უსასრულობის სამართალ ქმედითაა ნაბეჭდი...

მუდმივ-მიუწვდომელ-კანონიკური ბუმერანგი! არანაკლებია ათი მცნებისა, მეტი თუ არაა, რადგან ის წმიდათა-წმიდა სამყაროსეულ-გლობალური უცნაურ-ანარქულ-სარკისმიერი უკუშხედ თვისებებისაა:

ბრძენთაგან ნათქვამია კაცის მკვლელს ბუმერანგ პიროვნება კლავსო და სრულიად სამართლიანია.

როდესაც უბოროტესი პიროვნება ამქვეყნიდან გაბიძვრინდდება, იტყვიან, სამართლიანად ჩაძალდაო. რატომ აყენებენ შურაცხყოფას მაგ კეთილ ცხოველს და ადამიანის უღალატო მეგობარს? ამ შემთხვევაში უფრო მიესადაგება, გამომიქვას ჩაგველდა, ჩამორიელდა, უკუნეთად ჩაშავდა ან უნდა ითქვას, შხამმა მოუსავლეთისამ ჩაყლაპაო. საკადრისად დაისაჯა გველი ჯალალედინი – ის ხომ უფრო და უარესის ღირსიც იყოო სამყაროს სამართლიანი განაჩენისაგან?

საერთოდ, ქვეყნიურ ბუმერანგს ვერც ერთი რელიგიურ-სულიერ-გონებრივი თუ მეცნიერული იურიდიული უმაღლესი მიმართება ვერ გაუტოლდება, ყოველგვარი დღითიურ-ადამიანური გადანყვტილება მასთან ხომ უძღურია, როგორც სინამდვილე წარმოსახვის წინაშე.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი სახე-ფორმის ბუმერანგი ბერძნების შორეული წარსულის ისტორიაშია ჩაკირული. ერთ დროს ბერძნები თავიანთი მერყევი უნაყოფო ბუდიდან აყრილნი მოზღვავენ და ბარბაროსულად შეესივნენ კოლხური უძველესი ცივილიზაციის ტომებს, კერძოდ, პელაზგებს, ეტრუსკებს და მათ მინა-ნოყიერ მამულებს კაქსაჭებივით დაეპატრონენ და სამუდამოდ დასახლდნენ, თითქმის ჩაყლაპეს ადგილობრივი ხალხი და მათთვის უცხო კულტურა, მენტალიტეტი, ხელოვნება გაითავისეს. აქ კი თავის დროზე უფრო მტკიცედ და მძაფრად ამოქმედდა კანონ-სიმტკიცე და როგორ? შუა აზიიდან დაიძრა თურქმენული მომთაბარე ერი და ველური სკვითებივით შეესივნენ უკვე აღზევებულ ბერძნებს, საუბედუროდ, არ დაინდეს ანტიკური ხელოვნების, ფილოსოფიისა და მეცნიერების ნიმუშ-შედეგებიც, წაღვეს და აყვავებულ ქვეყანას გადაუარეს ადიდებულ-ატალახებული მდინარესავით. თურმე არ არსებობს განურჩევლად მიუკარება მართალ თვისებით პატიება ბუმერანგისა, ამდაგვარია მისი ვარსკვლავთური უდრეკი მისია, მზესავით მარადიულ გაუცვთავისა...

დამჭირდა და მერამდენედ უნდა ვთქვა, ყოველივე ხომ სამყაროს ზნეობრივ ურღვევი კანონმდებლობაა და ვერავითარი ძალა, მოქმედება წინ ვერ უდგას. თუგინდ რომ შეიკრიბნენ უმაღლეს აღმსარებლები სერობად – იესო ქრისტი, ბუდა, იუდა, ალაჰი და მრავალი რელიგიური სექტა დამოუკიდებელი, მათ ზეციურ საჩივარ-განკითხვას ყურთანაც არ

მიიკარებს – ასეთია ზნეურყევი ბუმერანგის სივრცობრივ-კანონიკურ მოქმედებათა გარდაუვალობა. ამ ფორმის მოვლენები ჩვენს პლანეტაზე მრავალია უხსოვარ დროიდან დღემდე, მართალი ბუმერანგი არ არის არავის ისტორიათა გამომსწორებელი და ჭკუის მასწავლებელი, ის მხოლოდ უკიდურესად საკადრისის მაგიერის მომხდელია, რასაც ვერც ერთი დღითიურ-ადამიანური კანონმდებლობა შეაჩერებს და ახლოსაც ვერ მივა, ამიტომ ბუმერანგის სრული დიდება-აღიარება ცამდე მწვდომი სიმართლეა, კაცობრიობის სამივე დროის მარადიულ ისტორიაში. ძალა დიდი, ჩვენგან შეცნობილი უძველესი და უმტკიცესი ნებისმიერ რელიგიაზე, უცვლელ-ურყევ ნაღდი მაღალზნეობრივ შემსრულებელ (ყოველგვარი ლოცვის და თხოვნის გარეშე) უსახლვრო ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ...

განა ნამცეც-მისხალიც აპატია პლანეტის და კაცობრიობის ოდითგან დღემდე და მომავლის სამუდამოდ უპირველეს ქალს, მედიცინის სანყის დაუსრულებლობას? ასევე ქურდ-თვალთმაქც მიმტაცებელ-მატყუარა და მოლაღატე-უზნეო იაზონს?! უსახლვრო ბუმერანგმა მათში ჩვეული და ორგანული ნესებით ყველაფერი კანონიერად აღასრულა. იაზონს დაუხოცა შვილები და მედეამ თავის თავსაც მიუზღო კოსმიური მიუკარება განაჩენი, რითაც დასაჯა თავისი საშო. მედეამ ხომ იაზონს და თავის თავს მოუკლა შვილები შედეგად სიბნელიდან გამოსული უზნეობის სანსალიდან: არაადამიანურობიდან გამოფუფეხული ღალატით მისი შემცველი, მკაცრ-უფიქრისი მეფის ასულიც, რომელსაც სიკვდილის სამოსი ჩააცვა. ასევე არ აპატია ბედკრულმა სამშობლომ და მედეა ხანგრძლივად, სიკვდილამდე (ფიზიკური) სულიერად ენაშა უცხო მინაზე, კოლხთა მოპირისპირე ხალხთან, რისგანაც იშვა ბიბლიური კანონიკური უზნეობა: მათ ირგლივ დღე და ღამე შეუსვენებელივ არეგულირებდა ზნეობა-უზნეობის საკითხების ბუმერანგი და არავის არ პატიობდა შეცდომას, უზნეობას თუ შემთხვევითობებსაც. კოლხ მედეას ვერ უშველა კოსმიურმა უმაღლესმა წმიდა სიყვარულმაც, ჩვეულებრივად დაბალ ზნედაცემულ ბარბაროს იაზონს რომ არგუნა... უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მაღალი ზნეობით თუ დაბალით განვლილი ყოველგვარი ქმედებანი კანონმდებელმა უკონტროლოდ არ დაუტოვა და კაცობრიობას შემოუნახა ყოველთა სისასტიკის მოგონებანი. ქურდ და მიმტაცებელ ბერძნებს, კერძოდ იაზონს, სისხლიან რომანტიკოსს, ვერ უშველა ლეგენდარულმა გმირმა – ზეადამიანური სიძლიერის შერკულესმა.

შედარებისთვის დღევანდელი უძლიერესი იარაღის ტოლმა, სისხლისმღვრელ-მსმელმა ადამიან-არსებამ. ისიც უკვალოდ გაქრა იდუმალი ძალისგან კოლხეთის საოცრება ლეგენდარულ მინაზე. ასე და ამგვარად, შავმა ძალებმა დროებით გაანადგურეს მეფე აიეტის მედეა და კოლხეთის უპირველესი ცივილიზაცია. დიას, მეგობრებო, უცილოდ ყოველ ადამიან-პიროვნებას, ერს და უძლეველ გმირს მუდმივ-განუყრელად დაჰყვება, სიკვდილისა არ იყოს, საკუთარი ქმედების მიერობით საკადრისი მზესავით მიუკარება ბუმერანგი, რითაც სუფთავდება პლანეტა უსამინლესი ჭუჭყისაგან...

ჩვენს ეპოქაში თუ ისევ გაიღვიძა საშინელმა სიავემ და სწრაფვამ მსოფლიოს ხალხთა ბატონობისკენ, მცდართა ხროვამ საღად იფიქროს, რადგან ისტორიის ათასწლეულებში ვერავის მოუღწევია მაგ უსასტიკეს შედეგამდე ველური თვისებით, უმძიმესი სენით და სასტიკი ბოროტებით. თუმცა ზოგიერთ ატარტაროზებულ იმპერიას ჰქონდა გარკვეული სატანისტური მიღწევები; ერების და ქვეყნების დამონება-განადგურების ფონზე ყოველივე ხომ სიკვდილითაც ამოუძირკვავი და უმახინჯესი ფსიქოლოგია ადამის მოდგმისა, რომელსაც წინ უძღვის კანონის, მათა მკვლელის მახინჯ-უზნეობა. ეტყობა, კაცობრიული ჰუმანიზმი სუსტია ამ შემთხვევაში, ნებისმიერი რელიგიებისა არ იყოს. მაგრამ მაღალზნეობრივი ჭეშმარიტება საბოლოოდ ყველაფერს და ყოველივეს ანესრიგებ-ანონასწორებს ურყევ სამართლიანი უკუბუმერანგის მეოხებით.

მოკირებული „კაცობრიობა დღეს გაოგნებულია“. ნუთუ რუსეთის ბოროტ გზაზე დამყენებულს, რომელმაც 2008 წელს უდანაშაულო დამოუკიდებელ ქართველთა ქრისტიანული სისხლში დოპინგირებული სპორტული ფინით იცურავა, შერჩებოდა? არა! და



კიდევაც მან შეიზადა უმკაცრესი მომავლის ბუმერანგი უკრაინაში სამარცხვინო გალაშქრებით. ყველაზე უსასტიკეს მტერს ისე არ მოექცევინა, როგორც რუსეთის პრეზიდენტი და მისი კაცთმგუდავი ჯალათები მოქმედებენ კეთილშობილ უკრაინაში.

„ჩვენს თავს ერთი და იგივე განაჩენი უნდა გამოვუტანოთ, ბოროტები ვართ, ბოროტები ვიყავით და ბოროტები ვიქნებით“, – ლაციუს-ანუეს სენეკა (რომაელი).

„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“, – მორგეტინი.

ყოველთვის მიკვირდა, ამ აზრების დამწერმა ფილოსოფოსებმა თუ მწერლებმა, ნეტავ, რა იხილეს ადამიანებში ასეთი გამოგნებელი საშინელება-მეთქი, მაგრამ ამჟამად რაც ხდება უკრაინაში, თუ როგორ სპობენ უდანაშაულო, მშვიდობისმოყვარე გაოგნებულ ხალხს, უკვე არ მაკვირვებს, რათა ჩვენს, მესამე ათასწლეულის გამანადგურებელი საშინელება რომ ენახათ მაგ ღრმად მოაზროვნეებს, უთუოდ მკაცრ შეცდებებს უფრო მძაფრად დაწერდნენ, ხოლო თავად მე არ ვიცი, როგორ დახატულ აზრებს მოგვანვიდნენ, თავად ვერ ვპოულობ შემადარ აზრთ-სიტყვებს, ეგ უმძიმესი სურათი მათსავით სრულყოფილად რომ გამოვხატო. წარმოუდგენელი, ყოველთა ამაზრუნ-აღმგზნებია რუსული დღევანდელი უაზრო აგრესია მოქმე ხალხის, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მიმართ. უღამაზესი ქვეყნის ქალაქები და სოფლები ხომ დაანახშირეს და მიწასთან გაასწორეს, ეს უკვე კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული ნაწილის უკიდურესი დანადგობა და განადგურებაა. მაგრე სასტიკად ქვენარმავლებსაც არ გასრეს ნებისმიერი აღმსარებლობის თუ ბუნებით ათვისტიც.

„ადამიანს რომ შეექმნა ადამიანი, განა სირცხვილი არ დასწავდა?“ – ამბობს მარკ ტვენი.

ყოველთვის მართლაც რომ სიძულვილი ჩემი თავის მიმართაც მწვავედ მენყება, ადამიანად რომ გაჩნდი ამქვეყნად...

კოსმიურად აღლევებული „პლანეტა მინა, შინაგანად ყოველმხრივ ემზადება მცირე ერების გადასარჩენად“. აქ უკვე ეჭვგარეშეა უსასრულობის გადანყვტილება მიღებულია და პრეზიდენტი პუტინი ვარსკვლავური ჯიუტი სასჯელგარდუვალობის წინაშე დგას, როგორც დღე მუსოლინი და მრავალი სხვა.

ყოველგვარი ბოროტება უფრო დიდ სამაგიერო სიავეს შობს დედა ბუმერანგის მიუკარება კანონებით. ნუთუ ბატონ პუტინს არ ესმის სამყაროსეულ-კანონიკური უკუშხედ გარდუვალობისა.

„მათა ომში უზნეო ჯილდოებს არ იძლევიან, რადგან ის სამარცხვინო ორმხრივი მასობრივი უბედურებაა“. ვფიქრობ და ვიტყვი, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და ბევრგან მრავალ არიან ფილოსოფოსნი, ღრმად მოაზროვნე წინასწარმეტყველნი, ფსიქოლოგები, ხელოვანნი. ალბათ, ვერ შეძლეს მომხამული, უკვე საცოდავი პიროვნების დარწმუნება, რომ ხოცავს უახლოეს – სლავიან უკრაინელებს, დიდიან-პატარაინად და როგორ უღამაზეს ერს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უფიქრია დამპყრობ სარდალს, ამდაგვარ სისასტიკეს არ შეაჩრებს კაცობრიობა და არაფრით არ აპატიებს ზე-ძალა, რომელსაც გააჩნია უძლიერესი თვისებები, ხმები და კანონები. მართალია, ქვეყნის უპირველესი მო-

ქცეულია შხამიანი ვარსკვლავთ დამაავადებელი გამჭოლი სხივების მარნუხებში, რითაც მოურჩენელი ფსიქოლოგიური ზნე ჭირითაა დაავადებული (უნია ქართველთა ცოდვამ). მაგრამ როგორც შედარებით მაინც ძლიერ პიროვნებას შეუძლია მაგ ბოროტებას თავი გამოსტაცოს თავადვე ან დააღწიოს კეთილ გარემოთა გავლენით (თუკი თანდაყოლილი არაა), რათა ამ საზიზარ ომში არცერთი მხარე იქნება გამარჯვებული, რათა სამყაროსეული წმიდათანიდა მორალი მიუდგომელ უმკაცრესია და ზე-ზნეობრივი.

ამჟამინდელი რუსეთ-უკრაინის ომი მხოლოდ და მხოლოდ გველ-სატანური უკიდურესი მოვლენაა... ფრთხილად, დამნაშავე ადამიანებო, ზოგიერთი სივრცობრივი ბუმერანგი უტყუარ მომკვდინებელია...

ბუმერანგის მეოხებით გადანყვტილია საერთაშორისო ბოროტმოქმედთა მომავლის ბედი. ამ შემთხვევაში ცეცხლისაღში მენწის გულ-ღვიძლი და უძლიერესი, მართალი, ვაჟკაცა უკრაინელები საკუთარი მძიებით მეცოდება და, რა თქმა უნდა, მომხამული ზნეობისგან ჩათრეული რუსი ნორმალური ხალხიც. ცოდვილიან ძლიერთა არაკაცობით მომავლის ახალგაზრდობა ილუპება, მათა შხამით გარეცხილ ომში ყოველთვის პირმავე წინმავალი კენი მოქმედებს, მაგრამ უკიდურესმა დამნაშავეებმა უნდა შეიგნონ, კენი არასოდეს არ იმარჯვებს, რადგან ის ყოველმხრივ ბოროტმოქმედებაა ჯოჯოხეთური, ზნედაცემულობა და ადამიანთა სამარცხვინო პირსისხლიანი ხასიათ-გამოვლინება სატანური დანაშაულით; სრულ-მართალი პასუხი მხოლოდ მარადიულ მართალ და მიუკარება ბუმერანგს აბარია და მაინც ჩვენთვის სამუნახარაა...

დიას, უცნაური და უტყვი კანონებით კოსმოსში პლანეტებიც არ პატიობენ ერთმანეთს ვარსკვლავთური არეულობით დანაშაულებრივ უზნეობას. მაგ უდიდეს პლანეტარულ ძალთა ფსიქოლოგიური მოძრაობა მარად გამოუცნობია ჩვენი დროის და დონის ადამიანებისთვის. ასე მგონია, მრავალმა რუსმა შეცდომილმა ეკლესია მიატოვა და ემშაკის გომურში სულმახინჯი დაიარება, სადაც გველის ბუდესავით აქოთებული ყარს ყველაფერი...

საკვირველია, მაგ უბოროტესი ვარსკვლავისგან მოურჩენლად როგორ მოინაშლა ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი, თავის თავში ძირფესვიანად ადამიანური სიკეთე რომ დაკარგა და, საუბედუროდ, რუსეთში სხვა მრავალსაც გადაედო ეს ყოვლის მომსპობი შხამ-სენი. კაცობრიობის წარსულის ისტორიიდან ყველა უბოროტესი მოლაშქრე სარდალი, რომელიც შემდგომში კანონსტებმა გენიოსებად მონათლეს, ყოველი მათგანიც უცილოდ ემშაკის მსახურია და მათთან მუდმივ-ჩვენთა ერთობლივი გონებრივ-კეთილ-აზროვნებითი მოქმედება-ბრძოლაა საჭირო. დღეს ყოველი მხრიდან ევედრებიან, ნუ ლუპავ, რუსო ბატონო! კეთილშობილ, უღამაზეს და ღვთისმიერ უკრაინელებს (ერთ დროს მათ ბევრი ქართველიც რომ გაისტუმრეს), თქვენს მოძმე ხალხს, ასევე, მომავალში რუსეთის უდანაშაულო მშრომელ საზოგადოებას. ამიტომ ვერჯერობით კეთილგონიერულად თხოვნითაც მოგინოდებენ კანონის ზნეობით შეპყრობილთ, იცხოვროთ ამქვეყნად ზნემართალ, მხოლოდ მზეებრ ნათელ ქრისტიანულადო....

რეზო ადამია

სეზონი, ხელმძღვანელი



ჩემთანაა ემზარ კვიტიანი... ჩემთანაა ემზარ კვიტიანი...

სესანიშნავია ემზარის თხოვრების სტილი... ტრადიციული, დახვეწილი...

ემზარი პირდაპირია, გამბედავი, შემტევი... დიპლომატიის ნიჭიც წყალობს...

აკაკი განერელია (სტუდენტობისას მისი „ხშირი“ სტუდენტი ვიყავი) თანაურდინობდა გიორგი ლეონიძეს...

რად აკვლევინე კაენს აბელი, რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე...

ლეონიძის ღვიძლი ძმაც დაიჭირეს და გადაკარგეს... ეს სტროფი მრავლისმეტყველია...

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ემზარ კვიტიანი... „ქართული სიტყვის ბაზიერის“ გარეკანზე...

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში... მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

გაბრძობა, დასაწყისი 83-10

არიან. ტოკარჩუკს ძალიან უყვარს უბრალო ადამიანები... მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლიო მითოლოგიას...

ოლგა ტოკარჩუკი, როგორც მოთხრობებიდან ჩანს, მართლაც ძალიან „მგრძობიარე მთხრობელი“...

რთული ნამდვილად არის, მაგრამ, როდესაც ხდები ტოკარჩუკის ჯერ მკითხველი და მერე მთარგმნელი...

სპეციფიკური პრობლემა ყველა ენაში ჩნდება - არის რაღაც, რისი გადმოტანაც...

ერთ-ერთ მოთხრობაში, „შოტლანდიური თევ“, მთავარი პერსონაჟი - მწერალი...

ოლგა ტოკარჩუკი თავის სანობელე სიტყვაში ასეთ რამეს ამბობს: ლიტერატურა...

რაიგორც ახსენეთ, კრებულში მხოლოდ მოთხრობების ნაწილი შევიდა... რა პრინციპის საფუძველზე შეარჩიეთ ეს...

ნაწილობრივ ზემოთაც ვთქვი ამის თაობაზე... არჩევანის წინაშე დგახარ და იცი, რომ...

ლიტერატურული ფიქცია, ქართველს უყვარს ემოცია, დრამა... გერმანულ კრებულში, მაგალითად...

კატია, ბოლოს მინდა ინტერვიუ ისევ ოლგა ტოკარჩუკის სიტყვებით დავასრულო...

აბსოლუტურად. ადამიანი, რომელიც წაიკითხავს „აკაკის ნიგნებს“, ამას მაშინვე მიხვდება...

სხვათა შორის, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ყველაზე იოლად გასაგები უნდა იყოს...

ესე რომ, ვიდრე ადამიანს, მოვლენას, საგანსა თუ ემოციას სიტყვიერ ფორმას აძლევს...

ესაუბრა ქეთი გასოკია

წიგნი საგაგილო, საგაგალითოდ



ბევრი სამაგიდო ნიგნი გვაქვს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ...

მრავალფეროვანი, მრავალნაზხნაგოვანი, პოლიფონიური - ასე შეიძლება დავახასიათოთ...

ბის, ცხოვრების ფართო სპექტრისა და ბიოგრაფიული ტოპოსის თვალსაჩინოდ წარმოჩენას...

წიგნი ბილინგვურია - ქართულ ტექსტებს გვერდით ინგლისური თარგმანები ახლავს...

წიგნის რედაქტორია ზაზა აბოზიანიძე. ტექსტები ინგლისურად თარგმნა ლე...

დან, ლექსებიდან, პოემებიდან, მოთხრობებიდან... მოკლე და ინფორმაციული თვალსაზრისით...

გამოცემა განხორციელდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის...

გელა ცინცაძე P. S. დღეს, 10 ივნისს, 15 საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხელმწიფობით...

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი... მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრიაშვილი...

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ISSN 1987-9806, 77198798005, დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში...